საერთო გაზეთი

№38 (449) • 18 ოქტომბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ფაროსანებიც თქვენ ხართ და შხამიანი რეპტილიებიც, თქვე ფარისევლებო!

სლოგანების ომი

ზურაბ ხონელიძე: ჩვენი, ქართველების და აფხაზების, გადარჩენის საიდუმლო ჩვენს ერთად ყოფნაშია

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული, ქარიზმატული ზურაბ წერეთელი, კაცი – ყველას მეგობარი, კაცი – ზოგადი, საკაცობრიო...

შალვა ოგბაიძე: თბილისზე ურბანული შემოტევა უნდა შევაჩეროთ!



ჩვენ არ ვართ საქართველოს მტრები, გაგვაგებინონ, რა დავაშავეთ!

გელა ხუციშვილი: აფხაზეთის კონფლიქტი ერთი ეთნოსის წარმომადგენლების მიერ კალიფორნიაში დაიგეგმა

„საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ფაროსანებიც თქვენ ხართ და შხამიანი რეპტილიებიც, ნაცებო, თქვე სინდისგარეცხილო ფარისევლებო!

ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი ამბობდა, პოლიტიკა სუფთა საქმეა და ის ზნეობრივად სუფთა ადამიანებმა უნდა აკეთონო, თუმცა მანამდე ლენინი თავისი ქმედებებით სხვა რამეს ამტკიცებდა, ხოლო „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები, რომლებიც თავს დასავლური დემოკრატიის პირმშოდ ასაღებენ, სინამდვილეში ბოლშევიკების შთამომავლები არიან იდეურად და ყოველი მათი სიტყვა ფარისევლობაზე და სიცრუეზეა დაფუძნებული.

კვირას რომ ხალხი შეყარეს რუსთაველზე და ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრისკენ რომ გამართეს მსვლელობა, თბილისის „დასაცავად“ მოგროვილი ის ხალხი თურმე რეგიონებიდან ჰყოლიათ ჩამოყვანილი. თვითმხილველები ამბობდნენ მერე, მსვლელობა და ყიჟინი რომ დამთავრდა, ავტობუსებისკენ გარბოდნენ პირში „სვისტოკებით“ და ხელში მეგაფონებით ისე, რომ ქუსლებს უკანალში ირტყამდნენ, ღამდება, შორი გზა გვაქვს გასავლელი და არ შეგვაგვიანდესო...

მოკლედ რომ ვთქვა და ბევრი არ გავაგრძელო, მიტინგის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საკრებულომ ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებულ კომპანიებს „პანორამა-თბილისის“ პროექტის განსახორციელებლად 1900 კვ.მ მიწის ნაკვეთი პუშკინის სკვერის მიმდებარედ და 4435 კვ.მ ბოტანიკური ბაღის ნაწილი გადასცაო. ამითო, თბილისელების ღირსება ილახებაო. არიქა, ხალხო, ბიძინა ივანიშვილი, იგივე ევრაზიული ფაროსანა შემოგვესიაო, გუგუნებდა „რუსთავი-2“ და თამარ ბაღაშვილი, თავადაც „აღშფოთებული“, „აღშფოთებულ“ რესპონდენტებს კომენტარებს სთხოვდა. ეს მართლა მწერები და რეპტილიები კი გაკეთილშობილებული „ნაცმოძრაობა“ ვართო, გაიძახოდნენ...

„რუსთავი-2“-ის მიკროფონი ჯერ ზალიკოს ერგო, მერე ნიკას, მერე კოტიკოს და ა.შ.

ამ ტანკლი-ტუნკლი ნიკა-კოტიკო-ზალიკოებმა როდემდე უნდა იცუნდრუკონ ტელეეკრანებზე და როდემდე უნდა აწყვიტრონ ნერვები ხალხს?!

რა კარგია არა, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება?

წარმოიდგინეთ, მიშასთვის მისი პრეზიდენტობისას ვინმეს ასეთი რამე რომ ეთქვა საჯაროდ, რა მოუვიდოდა ან იმას, ან მისი ოჯახის წევრებს და ნათესავებს...

ამაზე ამბობდა ბიძინა ივანიშვილი, ყველას გავაოცებთ დემოკრატიითო, თავად ვიგინდარა და არარაობა ბიძინა ივანიშვილზე ვიგინდარას რომ იტყვის, ვისაც გაოცების უნარი შერჩენია, მართლაც ყველა უნდა გაოცდეს.

აქცია-შოუზე ლიდერი ზალიკო გლეხებსაც გადასწვდა: გაუბედურებული გლეხები რომ ანუგეშოსო და 39 000 უმწეო ბარდის წვნიანს რომ მიირთმევს სამადლოდო, იმათ მიეხმაროს ივანიშვილიო, თბილისს რომ გვართმევს დამპყრობელივითო.

თუ ვინმემ გააუბედურა ქართველი გლეხი, ნაცების დროს გაუბედურდა, ბანკების ვალებისგან უსახლკაროდ დარჩენილი, სამსახურებიდან გამოყრილი 40 წელს გადაცილებული ხალხი, მშიერ-მწყურვალი ინტელიგენცია და ხელოვანი ხალხი ნაცებმა შექმნეს ამ ქვეყანაში, ახლა იქ ვიღაც თავგახურებულს რომ აბღავლებდნენ — მიშა და საქართველოო, მიშამ იყო ათასობით თურქს, ინდუსს და არაბს რომ მოქალაქეობა უბოძა და 2008 წელს ავანტიურისტულ ომში 100-ზე მეტი სოფელი რომ დაკარგა, მაშინ რატომ არ ბღაოდნენ ის მომიტინგეები, კმაყოფილი იყვნენ იმით, რაც ხდებოდა მაშინ?

ყველაზე საზიზღარი სანახავი ურცხვი ადამიანია, ხოლო ურცხვ ადამიანთა კრებული ასჯერ უფრო საზიზღარი სანახავი.

ასეთი ურცხვების შეკრება იყო კვირას რუსთაველზე ვითომ ივანიშვილისთვის მიწის გადაცემის გასაპროტესტებლად. სინამდვილეში კი, დარწმუნებული ვარ, ეს იყო წინასაარჩევნოდ ძალის ჩვენება. რადგან ზუსტად იციან, რომ წააგებენ, ხოლო წაგება ცოცხალი თავით არ უნდათ. როგორც ვამპირებს, ისე მოსწყურდათ ქართველი ხალხის სისხლი და ძალაუფლების გარეშე ამას ვერ აკეთებენ. თუ წააგებენ, აქაოდა, 15 ოქტომბერს 1000-ობით მომიტინგე რომ გამოვიყვანეთ, 10-ჯერ მეტი ვართ ჩვენო და გაგვიყალბეთ არჩევნებიო.

ეს ჰქონდათ და აქვთ ჩაფიქრებული ამ ფარისევლებს და სატანის ნაშიერებს.

90-იანი წლების ყაჩაღები არიან ესენი, მაშინ გადარჩნენ, ახლა გადარჩნენ და კიდევ თუ გადარჩებიან, ესენი მოულებენ ბოლოს ამ ქვეყანას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მოულოდნელი ტრამპი და მიწისქვეშა რყევები მსოფლიო პოლიტიკაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებული შიდა პოლიტიკური ვითარება, გაოცებასთან ერთად, მსოფლიოს პოლიტოლოგების შეშფოთებასაც იწვევს. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავისი მოღვაწეობა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ქვეყნის გაყვანით დაიწყო. ტრანსატლანტიკური და პარიზის ხელშეკრულების შემდეგ, გასულ კვირას ტრამპმა იუნესკოს დატოვების შესახებ ამცნო მსოფლიოს. ორგანიზაციას უსარგებლო უწოდა და განაცხადა, წევრობისთვის გადახდილი ფული წყალში გადაყრილიაო.

აღსანიშნავია ტრამპის სურვილი გაეროს რეფორმირების თაობაზე. ძნელი გამოსაცნობია, თუ რატომ უპირისპირდება ტრამპი საერთაშორისო ორგანიზაციებს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ტრამპს აშშ-ისთვის მსოფლიოში დაკარგული პოზიციების დაბრუნება სურსო, მაგრამ იქვე აღნიშნავენ, მსგავსი ნაბიჯებით საწადელს ვერ მიაღწევსო.

დღესაც მსჯელობის საგანია ტრამპის განცხადება, შეწყვიტოს ირანთან ბირთვული თანამშრომლობა. მის წინადადებას ევროპის, მათ შორის, ნატოს წევრი ქვეყნები, უარყოფითად აფასებენ. მიმომხილველების განცხადებით, ასეთ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია, ევროპის სიახლოვეს გაჩნდეს კიდევ ერთი ცხელი წერტილი, რაც ევროპელებს სულაც არ აწყობთ. რადგან ირანი ვახსენეთ, აქვე სათქმელია, რომ გასულ კვირას ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ შესთავაზა სპარსელებს თანამშრომლობა აშშ-ის წინააღმდეგ. ირანელთა პასუხი უცნობია, მაგრამ, სავარაუდოდ, გაუწონასწორებელ ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან არ ითანამშრომლებენ.

ბირთვული თანამშრომლობის შეწყვეტას ირანთან მხარი მხოლოდ საუდის არაბეთმა და ისრაელმა დაუჭირა. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ორივე ქვეყანა რეგიონში თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მათი მიზანია ირანის დასუსტება. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ორივე ქვეყანას თავად სურს, იქონიოს ბირთვული იარაღი, რაც, ადვილი შესაძლებელია, რეგიონისთვის კატასტროფული აღმოჩნდეს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ საუდის არაბეთს თავისი ფინანსური შესაძლებლობებით შეუძლია უკვე გამზადებული ბირთვული იარაღი იყიდოს რომელიმე ქვეყნისგან.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აშშ ოფიციალურად დაადანაშაულა სირიაში იგილთან თანამშრომლობაში. რუსული მხარის განცხადებით, ამერიკული მხარე არალეგალურად აწვდის ტერორისტებს იარაღს და ცნობებს ჯარების განლაგებაზეო. იორდანია-სირიის 100-კმ-იანი მონაკვეთი, რომელსაც კოალიციის შენაერთები აკონტროლებენ, „შავ ხვრელად“ შეაფასეს რუსებმა. ბრალდებაზე არც თეთრი სახლის ადმინისტრაციას და არც პენტაგონს ჯერ არ უპასუხიათ.

სიტუაცია ჩვენს მეზობელ თურქეთის საგარეო პოლიტიკაშიც არასტაბილურია. მიუხედავად რუსეთთან დამყარებული მჭიდრო ურთიერთობისა, პრეზიდენტმა ერდოღანმა გასულ კვირას ყირიმთან მიმართებაში მკვეთრი განცხადება გააკეთა, რითაც გაანაწყენა მეზობელი. თუმცა რუსეთმა არ შეიმჩნია და როგორც მიმომხილველები ამბობენ, ამჯერად მოვლენების შემდგომ განვითარებას ელოდებიან. ერდოღანმა არც აშშ დაინდო და განაცხადა: „...ჩვენ არ გვჭირდება ამერიკა“, — ამ განცხადებამ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა ნატოს წევრი ორი ქვეყნის ურთიერთობის მომავალი. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ თურქეთს სურს, მაქსიმალური სარგებელი მიიღოს. თუმცა რის ფასად, ამის შესახებ არაფერს ამბობენ.

გასულ კვირას ამერიკულ პრესაში გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ საინტერესო განცხადება გამოქვეყნდა. ერთ-ერთი ჟურნალის გამომცემელი 10 (!) მილიონ დოლარს სთავაზობს, ვინც მიაწვდის ცნობებს, რომელიც ტრამპის იმპიჩმენტის საშუალებას მისცემს. ძნელი სათქმელია, როგორ შეძლებს საშუალო დონის ჟურნალის გამომცემელი 10 მილიონის გადახდას. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ მის უკან გარკვეული ძალები დგანან. ექსპერტი პოლიტოლოგები ამ პროცესს პოლიტიკურ ეროზიად, ფაქტობრივად, ქვეყნის შინაგანი რღვევის დასაწყისად მიიჩნევენ. მათივე განცხადებით, როდესაც ზესახელმწიფოში ასეთი უცნაური ვითარება იქმნება, შემაშფოთებელია.

ექსპერტების ნაწილი არ გამორიცხავს, რომ არაფრისგან ახალი კრიზისი შეიქმნას, ირანის სახით, ტრამპს პირადი თავდაცვისთვის სჭირდება. ბირთვული თანამშრომლობის შეჩერების კანონპროექტი კონგრესს გადაუგზავნა დასამტკიცებლად. როგორც ამბობენ, ამით პასუხისმგებლობა თავად მოიხსნა და კონგრესს დააკისრაო. როგორც ჩანს, აშშ-ში შიდა პოლიტიკური ბატალიები კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა მარიანა რახოიმ ორშაბათამდე მისცა ვადა, კონკრეტულად განეცხადებინათ, რას აპირებდნენ. თუმცა პუჩდემონმა ვერც თუ არც ორშაბათს დააკონკრეტა, აცხადებდა თუ არა დამოუკიდებლობას და კვლავ ხანგრძლივი დიალოგი შესთავაზა. ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ წინადადება არ მიიღო. მათი განცხადებით, ახლა კონსტიტუციის მიხედვით იმოქმედებენ. მიმომხილველების აზრით, კატალონია შეიძლება არსებულზე უარეს ვითარებაში აღმოჩნდეს, მეტიც, საერთოდ დაკარგონ ავტონომიის სტატუსი. ესპანეთის და კატალონიის მომავალი ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სლოგანების ომი

რამდენიმე დღეც და დამთავრდება 2017 წლის მთავარი საარჩევნო მარათონი. რომელმა პოლიტიკურმა ძალამ თუ კანდიდატმა გამოიყენა თანამედროვე საარჩევნო ტექნოლოგიები, ვინ შეძლო უკეთ ამომრჩევლის გულის მოგება, ვინ უფრო მეტად მოახერხა თავისი სლოგანებითა თუ პროგრამებით ხალხის მობილიზება, ეს ხმების საბოლოო დათვლის შემდეგ შეფასდება.

წინასაარჩევნო კამპანია, მოგეხსენებათ, პოლიტიკური რეკლამაა და მას ამომრჩევლების მოსაზიდად სჭირდება სლოგანი. არჩევნებისწინა პერიოდი არა მარტო პოლიტიკური, ანუ პარტიებისა და პოლიტიკოსების პაექრობაა, არამედ საარჩევნო სლოგანებისაც. კარგად შერჩეული ფრაზა ამომრჩეველთა ხმებისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და რეალურ გავლენასაც ახდენს არჩევნების შედეგებზე.

„სლოგანი“ **(sluagh-ghairm)** გალიურ ენას მიეკუთვნება და ნიშნავს „საომარ, საბრძოლო ყიჟინას“ – იგი, როგორც სარეკლამო ტექსტი, იპყრობს მომხმარებელს და კონკურენტებს ებრძვის. არჩევნების დამთავრების შემდეგ, არ არის გამორიცხული, სლოგანების სიტყვები შეიცვალოს, ახალი იერი შეიძინოს, მაგრამ იდეა შენარჩუნდეს.

ისტორიკოსები პოლიტიკური დევიზის პირველ მაგალითებს ძველი ათენის ეპოქას აკუთვნებენ. ანტიკური დროის ყველაზე ცნობილი ლოზუნგი სენატორ კატონ უფროსს ეკუთვნის. როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა – ნებისმიერ საუბარს თუ სენატში გამოსვლას იგი ამ სიტყვებით ამთავრებდა: „კართაგენი უნდა დაინგრეს!“ ამ სლოგანის შემდეგ ჩაება რომი კართაგენთან ომში და გაანადგურა ეს სახელმწიფო... თუმცა თვითონ კატონი ამას ვერ მოესწრო.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში და რა პოლიტიკური მოწოდება-სლოგანები აქვთ პარტიებსა თუ მათ წარმომადგენელ კანდიდატებს ახლანდელ თვითმართველობის არჩევნებში? როგორია მათი წვლილი ქართული პოლიტიკური ლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულების განვითარებაში?

სამწუხაროა, რომ 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ქართულ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ სივრცეში არ გამოჩნდა კატონ უფროსის მსგავსი ლიდერი, რომელიც ყველგან და ყოველთვის, საბოლოო მიზნის მიღწევამდე, დაუღალავად გაიმეორებდა: „ნაციონალური მოძრაობა უნდა დაინგრეს!“ ეს მოსახლეობის უმრავლესობის საერთო სურვილის გამოხატულება და გნებავთ, მოთხოვნაა დღესაც, მაგრამ ასე არ მოხდა.

ბლოკი „ბაქრაძე-უგულავა ევროპული საქართველოს“ სლოგანია „ნაბიჯი ევროპისკენ“, ხოლო მათი კანდიდატი, პარლამენტარი ელენე ხოშტარია ხშირად იმეორებს, რომ დასამარცხებელი ჰყავს არა ოპონენტები, არამედ დედაქალაქში დასადგურებული უიმედობის განცდა. ამ ბლოკის წარმომადგენლის, ისევე როგორც სხვა კანდიდატების აბსოლუტური უმრავლესობისთვის, სოციალური პრობლემების გადაჭრა ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ხოშტარია, უგულავა, ბაქრაძე ყოველი გამოსვლისას პენსიის გაზრდაზე აკეთებენ აქცენტს. საამისო რესურსი რომ გააჩნდეს იმ ქვეყნის მთავრობას, რომლის მოსახლეობის ნახევარს პენსიონერები შეადგენენ, ამას ხომ თვითონაც დაჰპირდებოდა ხალხს და დანაპირებსაც შეასრულებდა?!

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველაზე ადრე წარადგინა თავისი კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი, რომელსაც „გაბრაზებული თბილისელის“ იმიჯით გაბრაზებული თბილისელების გაერთიანება სურს. „ნაციონალების“ ტელევიზის ცნობილ სახეს გაბრაზება არ დასტყობია, როცა დარბეული მიტინგების შესახებ პირდაპირი რეპორტაჟების დროს სტუდიიდან ერთვებოდა. სარეკლამო კლიპებში ამბობს, „არ დავუშვებ უსახური შენობებით ქალაქის დამახინჯებასო“, არადა, სწორედ იმ ხელისუფლების მმართველობის დროს დაზარალდა ამ მხრივ ყველაზე მეტად ჩვენი დედაქალაქი, რომლის მერობის კანდიდატიც არის ახლა თავად. საეჭვოა, მან მოსახლეობის მხარდაჭერა მოიპოვოს, რადგან იგი ასოცირდება დემოკრატიის ტალღაზე ხელისუფლებაში მოსულ იმ პოლიტიკურ ძალასთან, იმ პოლიტიკურ ლიდერთან თუ ლიდერებთან, რომლებმაც საბოლოოდ ავტორიტარული რეჟიმი შექმნეს და ბევრი მათგანის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც ბოლომდე გარკვეული არ არის.

რესპუბლიკური პარტიის სლოგანია „გააკეთე განსხვავებული არჩევანი“. ვისგან ან რისგან განსხვავებული უნდა იყოს ეს არჩევანი, ეს მკაფიოდ არ იკითხება მასში.

ლეიბორისტების „საბრძოლო ყიჟინა“ ასეთია: „ბრძოლა გრძელდება!“ რისთვის გრძელდება ბრძოლა ან ვისთან, ეს გაურკვეველია; ხოლო კიდევ ერთი, იუმორისტული ელფერის სლოგანი – „გუგავა მოდის!“ ხალხში, ცხადია, ღიმილს იწვევს.

გაურკვეველია, ვისგან უნდა გაათავისუფლოს ჩვენი დედაქალაქი გიორგი ახვლედიანმა, რომლის საარჩევნო მოწოდებებია: „მოვრჩეთ დაკარგვას და დავიწყოთ, დაბრუნება“ და „დავიბრუნოთ თბილისი, რომ დავიბრუნოთ ქვეყანა“.

საინიციატივო ჯგუფის მერობის კანდიდატი ალექსანდრე ელისაშვილი ამომრჩეველს ეუბნება, რომ „ხალხის გარდა უფროსი არ მეყოლებაო“. ჯერ ერთი, სპეციალისტთა შეფასებით, გაუმართლებელია საარჩევნო სლოგანებში უარყოფის გამომხატველი სიტყვების გამოყენება. ჩვენი საზოგადოება, ელექტორატი ნამდვილად დაიღალა გამუდმებული საპროტესტო განწყობილებებით; გარდა ამისა, ეს პოპულისტური და შეიძლება ითქვას, გულუბრყვილო განცხადებაცაა, რადგან ამჯერად ვირჩევთ თბილისის მერს და არა რომელიმე „ქალაქ-სახელმწიფოს“ მეთაურს.

როცა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, როგორც პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, საარჩევნო კამპანიის დაწყებისას კახი კალაძე თბილისის მერობის კანდიდატად წარადგინა, მაშინ საარჩევნო სლოგანად დასახელდა „ჩემი ოცნების თბილისი“. სავარაუდოდ, კანდიდატის საარჩევნო პიარტექნოლოგიებზე მომუშავე ჯგუფმა სლოგანშიც იგივე სიტყვა გამოიყენა, რაც ამ პარტიის სახელწოდების უმთავრესი აქცენტია. პოლიტიკურ დებატებში თუ კერძო საუბრებში შეიძლება პარტიის სრული დასახელება არც იყოს საჭირო, როცა იტყვიან, მაგალითად, „ოცნების კანდიდატი“, „ოცნების საარჩევნო პროგრამა“, „ოცნების მერობის კანდიდატები“ და ა.შ. ამიტომაც ამ სიტყვაზე აქცენტი გამართლებული იყო, თუმცა ოდნავ მოგვიანებით გაჩნდა ტრანსფორმირებული სლოგანი – „სიცოცხლით სავსე ქალაქი“. სახელოვანი სპორტული კარიერა, საჯარო სამსახურში დიდი გამოცდილება, წინა წლებში გამართულ თვითმმართველობისა თუ საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელობა და „ქართული ოცნების“ გამარჯვებები – ეს არასრული ჩამონათვალია იმ აქტივობებისა, რითაც კახი კალაძემ თავი დაამახსოვრა ამომრჩეველს, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. „ოცნების“ კანდიდატს მართლაც აქვს სიცოცხლით სავსე პოლიტიკური ლიდერის იმიჯი და ალბათ ამითაც იყო გამპირობებული სლოგანის ცვლილება.

გარდა ამისა და რაც მთავარია, მის საარჩევნო პროგრამაში პრიორიტეტულია დედაქალაქისა და მისი მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემების მოგვარება: თბილისში არსებული ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება, ისტორიული უბნების დაცვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკის განახლება, საგზაო მოძრაობის განტვირთვა და პარკინგის პრობლემის მოგვარება, დედაქალაქის ეკონომიკური განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა...

ექსპერტების შეფასებით, კახი კალაძის საარჩევნო კამპანია საუკეთესოა სხვა კანდიდატების საარჩევნო აქტივობებთან შედარები თ. ის ფავორიტია და შეიძლება ითქვას, რეალური მოწინააღმდეგეც არ ჰყავს. კახი კალაძეს პოლიტიკური გოლების ათიანში დამიზნება და ზუსტად დარტყმა მართებს.

„უსაზღვრო“ ქვეყანა

აფხაზეთის კონფლიქტი ერთი ეთნოსის წარმომადგენლების მიერ კალიფორნიაში დაიგეგმა

„საერთო გაზეთის“ სტუმარია საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გელა ხუციშვილი.

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია რომ მოახდინა, არავინ დაობს, მაგრამ რა მდგომარეობაში იყო მაშინ ქვეყანა? უზარმაზარი ვალები, არავითარი მხარდაჭერა ევროპიდან, აგრესია მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან, თურქეთს მიტაცებული აქვს ბათუმი, სომხეთმა 1918 წელს ომი გამოგვიცხადა, აზერბაიჯანმა ჯარები შეიყვანა ზაქათალის ოლქში. რაც ყველაზე ცუდია, საქართველო გადანაწილებული ჰქონდათ დიდ სახელმწიფოებს, რასაც ახლა ინვესტიციის შემოდინებას ვეძახით, ათი წლის შემდეგ რა იქნებოდა „ფინალი“ არავინ იცის. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ თბილისის ცენტრში ვერ აშენდა უნივერსიტეტი, რადგან ეს ტერიტორია კერძო პირების საკუთრებაში იყო, ვინ იყო ეს ხალხი, აღარ დავაკონკრეტებ. როგორ დავკარგეთ ზაქათალის ოლქი, ანუ ისტორიული ჰერეთი, ლორეტაშირი და სხვა ტერიტორიები, ცალკე საუბრის თემაა. ზაქათალის ოლქი ფაქტობრივად მოწყვეტილი იყო ქვეყნის ცენტრალურ ნაწილიდან, რადგან ლაგოდეხის შემოგარენი მთლიანად ჭაობები იყო, აქ და ნაწილობრივ ყვარლის რაიონშიც ეთნიკური ქართველები თითქმის აღარ ცხოვრობდნენ. იგივე ვითარება იყო ქვემო ქართლშიც, კერძოდ, ბოლნისის და გარდაბნის რაიონებში. საბჭოთა ხელისუფლებამ 30-იან წლებში სერიოზული კონფიდენციალურ დემოგრაფიული პოლიტიკა გაატარა, ლაგოდეხის, ყვარლის, ბოლნისის, მარნეულის, თეთრი წყაროს რაიონებში (აღარაფერს ვამბობ აფხაზეთზე) მთიანი ზონიდან, კერძოდ, ზემო იმერეთიდანა და რაჭიდან ჩამოასახლეს ხალხი და დემოგრაფიული მდგომარეობა მეტნაკლებად დაბალანსდა. ამ ყველაფერთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო მასალები, წყაროები, დოკუმენტაცია არსებობს, რისი გაცნობაც არ აწყენდა ხელისუფლებას. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება გონივრულ დემოგრაფიულ პოლიტიკას გაატარებს, რადგან ეს სასიკეთოდ წაადგება ჩვენს სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ, რასაც ვუყურებ, უფრო საპირისპიროდ ხდება დემოგრაფიული ფონის შეცვლა. ვგულისხმობ, საქართველოში უცხო ეთნოსის შემოდინების ხელშეწყობას. საქართველოს 1937 წელს მიღებულ კონსტიტუციაში გაწერილია ყველაფერი, განსაზღვრულია მისი ტერიტორია და ა.შ. იქ არის საკმაოდ საინტერესო მინიშნება, რომ საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მიწა, წყალი, ტყე და ა.შ. არის ერის საკუთრება. აქვე ფორმდება სასაზღვრო წარმომადგენელთა კონვენცია თურქეთის რესპუბლიკასთან, რომლის საფუძველზეც დგინდება თურქეთთან საზღვარი, თუმცა დარჩა უამრავი ქართული ტერიტორია, რომელიც ნებაყოფილებით კი არ გადაეცა თურქეთს, არამედ ოკუპირებული ჰქონდა მას.

1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო არ გამოსულა მისი შემადგენლობიდან, ეს უზარმაზარი ქვეყანა თავისით დაიშალა. საერთაშორისო დოკუმენტებში დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებად დაფიქსირდა ის ადმინისტრაციული საზღვრები, რაც მას 1991 წლის 21 დეკემბრის მონაცემებით ჰქონდა. ამის მერე იყო ავადსახსენებელი აფხაზეთის ომი, დადგება დრო, როცა ამ კონფლიქტის რეალურ მიზეზებს აშკარად დავინახავთ. მანამდე ერთს ვიტყვი, არსებული მასალების, ჩემი დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე ვთვლი, რომ აფხაზეთის კონფლიქტი კალიფორნიაში დაიგეგმა და მიზნად ისახავდა გარკვეული ეთნოსის ინტერესების დაკმაყოფილებას. ჯერჯერობით არ მინდა უფრო დაკონკრეტება, მაგრამ ფაქტია, ამ ეთნოსს კრასნოდარის მხარე დიდი ხნის „დაპყრობილი“ ჰქონდა და უკვე აფხაზეთის მოქცევაც უნდოდა ამ სივრცეში. რეალურად ეს იყო კონფლიქტის მიზეზი. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტიც კალიფორნიაშია დაგეგმილი ამავე ეთნოსის მიერ, თუ ვინმე შემედავება, დამისაბუთოს, რომ ვტყუივარ. მთელი სტავროპოლის მხარეც ხსენებულ ეთნოსს აქვს დაკავებული, თუმცა აქ ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, ან ოსების თავმოყრა ხდება, რომ შეიქმნას ერთიანი ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში, ანდა ახალი გზის გაჭრა უნდათ სამხრეთისკენ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ძალზე ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. რა დანაკარგებით დავამთავრეთ 90-იანი წლები, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ მავანთა მიერ შედგენილი საქართველოს დანაწევრების გეგმის მოქმედება კვლავ გრძელდება.

ცხინვალი და სოხუმი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ვერ მოითხოვდნენ, რადგან დალის (კოდორის) ხეობა მთლიანად საქართველოს იურისდიქციაში იყო მოქცეული, ხოლო ახალგორის რაიონზე პრეტენზიის გამოთქმის ალბათობაც კი არ იყო ცხინვალის მხრიდან. ამ ვითარებაში მათთვის მაშველი რგოლივით იქნა გადაგდებული 2008 წლის აგვისტოს ომი. ვთვლი, რომ ამ ავანტიურის შესწავლის დროც დადგება. ამ ხუთდღიანმა ომმა ყველაფერი ცხინვალისა და სოხუმის სასიკეთოდ გადაწყვიტა.

— გამოდის ნაციონალებმა თავიანთი ქმედებით მტრის წისქვილზე დაასხეს წყალი.

— ახლა ჩვენ მხოლოდ ვარაუდებს გამოვთქვამთ, ლოგიკურ მსჯელობას ვაწარმოებთ, მაგრამ აუცილებლად დადგება დრო, როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, გაირკვევა ვის რა ინტერესი ამოძრავებდა. ფაქტია ასეთი სამწუხარო სურათი მივიღეთ, როცა სამ ნაწილადაა დანაწევრებული საქართველო. ტერიტორიების შემცირების პარალელურად გრძელდება უცხოელთა დემოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანია. ნებისმიერი სახელმწიფო, რომლის მიმართაც გამოიყენება კლასიკური ექსპანსიის ეს ფორმა, კარგავს სახელმწიფოებრიობას. ჩემი აზრით, თურქეთმა და ნაწილობრივ აზერბაიჯანმა უკვე დაამთავრეს დემოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანსია ჩვენს ქვეყანაში, რადგან თავისი მოსახლეობა დიდი რაოდენობით განასახლეს და ეკონომიკურადაც მთელი სტრატეგიული მიმართულებები მათ ხელშია. ჯერ მარტო სავაჭრო თურქეთთან ჩვენი სავაჭრო ბალანსი ნახეთ, საქართველო გლობალური კატასტროფის წინაშე დგას. ვახტანგ ვადაჭკორიას ნაშრომში აღმოვაჩინე რუკა, რომელიც ადრეც მქონდა ნანახი, ეს საქართველოს საბოლოო დანაწევრებას ეხება. ამ გეგმის „შემოქმედნი“ არიან ცნობილი მეცნიერი, შემდგომ უფლებადამცველად შერაცხული ანდრეი სახაროვი, მისი მეუღლე ელენე ბონერი (ალიხანოვა — მ.ს.) და ვინმე პოპოვი. გეხსომებათ, როგორ უწოდა სახაროვმა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდს ფაშიზმის ეპოქა, ხოლო საქართველოს მცირე იმპერია და შემოგვთავაზეს საქართველოს დაშლის თავისებური სქემა, ორად გაყოფილი და დამატებით ტერიტორიებდაკარგული საქართველო. ამ ფორმით მიდის ახლა მუშაობა ჩვენს წინააღმდეგ. დავიწყოთ იმით, რომ სანაპირო ზოლი ძალიან შეგვიმცირდა, საზღვაო ქვეყანას არ ჰყავს ფლოტი და ჩვენი ხელისუფლება უძლურია, ეს პრობლემა მოაგვაროს. მესმის, რომ საზღვაო ფლოტის ყოლა ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ რაღაც უნდა მოიკლო, რადგან ქვეყნის უსაფრთხოება ყველაზე ძვირფასია. რახან ფლოტი არ გვყავს, იმ ღონისძიებაში, რომელსაც შავი ზღვის აუზის სახელმწიფოები ატარებენ, ჩვენ მხოლოდ დელეგაციის სახით ვმონაწილეობთ. ე.ი. ჩვენ ნებაყოფლობით ვამბობთ უარს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ სივრცეზე, რომლის გამოც ანგარიშს გვიწევენ და გვესაუბრებიან. აი, ეს არის ქვეყნის გლობალური პრობლემა.

დემოგრაფიული ფონის ჩანაცვლება ვახსენეთ. უცხოელი მიგრანტების საქართველოში მასობრივ შემოდინებას „კეთილშობილური“ ახსნა მოუძებნეს, ინვესტიციები იდებაო. ამ „ინვესტორების“ მომზიდავებს მინდა ვკითხო, ინვესტიცია როგორი ფორმით უნდა განხორციელდეს, მაინც და მაინც გზების შენებაში რატომ იდება ფული, რომელიც მალევე ინგრევა? ამხელა ვალებს ვიღებთ და ერთი საწარმო არ ავამუშავეთ, მარტო თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა რომ შენარჩუნებულიყო, ნებისმიერი სფეროს წარმოებას ავაწყობდით.

თითქმის სამი ათეული წელია დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქვია და დღემდე არ არის დადგენილი და დარეგულირებული სახელმწიფო საზღვრები, სადაოა უდაბნოსა და ლალვანის ქედის (ხუჯაბის მონასტრის მხარე) ტერიტორიები, ფაქტობრივად გადაცემულია აზერბაიჯანსა და სომხეთზე, რომლებზეც ე.წ. კონდონომიუმი ვრცელდებოდა. კონდონომიუმი ნიშნავს, როცა საზღვარი მართალია არ არის დადგენილი კონკრეტულ მონაკვეთზე, მაგრამ ორი სახელმწიფო თანხმდება და თანაბრად სარგებლობენ ამ ტერიტორიით. ჩემს ხელს არსებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, მარტო ლალვანის ქედი და ხუჯაბის მონასტერი კი არა, მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე (სადახლოს საზღვართან) კიდევ ორი მონასტერია და ტბის მონაკვეთი, რომელიც დიდი ხანია სომხეთის განკარგულებაშია. გეხსომებათ მდინარე ჭოროხის გადმოვარდნის გამო, 6 ჰა მიწის ფართობის თურქეთზე გადაცემის შესახებ ატეხილი ხმაური. უკვე ვისაუბრეთ თურქეთთან დადგენილ საზღვარზე, 1937 წლის კონვენცი-

6 გვ.

ჩვენი, ქართველების და აფხაზების, გადარჩენის საიდუმლო ჩვენს ერთად ყოფნაშია

გვესაუბრება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ზურაბ ხონელიძე:

— ბატონო ზურაბ, პირველ რიგში, გილოცავთ, მოგვიყევით თქვენი გეგმების შესახებ?

— უპირველესად, მინდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი ჩემი მიდგომის შესახებ მოგახსენოთ: საქართველოში სულ 75 უმაღლესი სასწავლებელია, მათ შორის, 12 საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელთაგან ერთ-ერთი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტია. იშვიათია, მნიშვნელობიდან გამომდინარე, სიტყვების თანწყობა — სოხუმი, სახელმწიფო და უნივერსიტეტი. სამწუხაროდ, დღემდე ამ სახელებმა, თავისი არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სრულფასოვნად ვერ იმუშავეს ვერც ცალ-ცალკე და ვერც ერთად. მინდა ამ სახელმა — სოხუმმა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ ჩვენი უნივერსიტეტის აუცილებლობა და საჭიროება გააჩინოს. ზოგადად, ყველა უმაღლესი სასწავლებლის მიზანია შედგეს როგორც სასწავლო-სამეცნიერო-კვლევით-საგანმანათლებლო დაწესებულება. ჩვენი უნივერსიტეტის მიზანია ქართულ და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ — აფხაზეთის თემის გვერდის ავლით ვერანაირი ინტეგრირება ვერ მოხდება. აქვე, მინდა აღვნიშნო: უმაღლესი სასწავლებლების რექტორების დიდ ნაწილს ვიცნობ, ვმეგობრობ. ჩვენ, არცერთი უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტი არ ვართ. მინდა, არც მათ განიხილონ სოხუმის უნივერსიტეტი კონკურენტად, იმიტომ, რომ ჩვენი მისიიდან გამომდინარე, თემატიკა, რაც ამ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს, სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. როგორც იცით, ეს უნივერსიტეტი სოხუმში არსებული აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილია. როგორი იქნება თბილისში არსებული სოხუმის უნივერსიტეტი, ეს მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ როგორ აღგვიქვამს აფხაზეთი, მისთვის რამდენად მიმზიდველი ვიქნებით. ამ უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება ხელისუფლებამაც უნდა გაითავისოს. დღევანდელი ხელისუფლების ძირითად ნაწილს ეს გააზრებული აქვს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება ეს არის აფხაზეთის პრობლემატიკისადმი დამოკიდებულება. უნივერსიტეტი მზად არის საკუთარ თავზე აიღოს ყველა ის მტკივნეული პრობლემური საკითხი, რაც აფხაზეთს, ჩვენი ქვეყნის მთლიანობას, ერთიანობას, მისი მომავლის უზრუნველყოფას, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას და რაც მთავარია აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას უკავშირდება. ანუ, სოხუმის უნივერსიტეტი უნდა გახდეს ხიდი ამ ორ უნივერსიტეტს შორის, რომლებიც ერთი ფესვებიდანაა წამოსული.

ჩვენ, ქვეყანამ, ხელისუფლებამ არ უნდა დავუშვათ, რომ სოხუმის უნივერსიტეტი კვდომისკენ გახდეს მიდრეკილი. მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტის სიძლიერე, მათ შორის, ქვეყნისაც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ჩართულობაზეა დამოკიდებული. ამიტომ, ვაპირებთ მოვახდინოთ პრობლემის რეალური ინტერნაციონალიზაცია, რაც არის საუნივერსიტეტო ცხოვრების საერთაშორისო ხარისხში აყვანა. შედეგად, უნივერსიტეტი გააჩენს ახალ ინოვაციურ ხედვას, მიდგომას: მშვიდობის მშენებლობის ფორმატში აკადემიური და საგანმანათლებლო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობას. ეს პოტენციალი დღეს აქაც არსებობს და საქართველოს იმ ნაწილშიც, სადაც ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება — აფხაზეთში.

— ბატონო ზურაბ, კონკრეტულად, რა სიახლეებს შეიტანთ სახუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში?

— როგორც იცით, გაეროს მოწონებული აქვს სამეცნიერო დიპლომატია. მინდა, ახალი მიმართულება გავაჩინო — საუნივერსიტეტო დიპლომატია, სამშვიდობო ენა სხვა ალტერნატივა არ გვაქვს. ვაპირებ შევქმნა ორი საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რაც მთავრობის და განათლების სამინისტროს მიერ მიზნობრივ დაფინანსებას. საერთაშორისო თვალსაზრისით უნივერსიტეტი უფრო ღირსეულად უნდა იყოს წარმოდგენილი, გაიზარდოს მისი ცნობადობა, იმიჯი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული და არა სხვაზე. აუცილებელია გაჩნდეს ახალი მიმართულება, რომელსაც სათავეში სწავლული კაცები ჩაუდგებიან. სასურველი იქნებოდა ჟენევის ფორმატში წარმოდგენილი იყოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. თუმცა, ამას ერთადერთ შემთხვევაში ქვეყნის ინტერესებია გადაჯაჭვული, აქ, ყველა ტიპის და სახის კონფლიქტია. კონფლიქტების მეცნიერული კვლევა, მიზეზის გამოვლენის მიზნით, სამწუხაროდ, სრულფასოვნად არ მიმდინარეობს. გვინდა შევქმნათ პრეცედენტი და კონფლიქტის სიღრმისეულ კვლევას, ანალიზს ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ და შექმნილ კვლევით ცენტრში დავუდოთ საფუძველი. პირდაპირ, როგორც ქვეყანას არ ექნება ფუნქცია, ისე ჩვენს უნივერსიტეტს არ ექნება ფუნქცია. უნივერსიტეტი თავისი ქვეყნის ბედის თანაზიარია. როგორც ქვეყნის ფუნქცია გადის რეგიონზე, რაც ავტომატურად საერთაშორისო ფუნქციაა, ასევე, უნივერსიტეტის საერთაშორისო ფუნქციაც რეგიონზე გადის. ამიტომ, მინდა არსებული შიდა და გარე რესურსის მობილიზაცია მოვახდინო და უნივერსიტეტი რეგიონში სამეცნიერო კვლევით-საგანმანათლებლო ცენტრად, საუნივერსიტეტო ჰაბად ვაქციო, რის რეალიზაციასაც მხარდაჭერა სჭირდება.

— რამდენად მონაწილეობს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმშენებლობაში?

— ეს გახლავთ სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც სამწუხაროდ, სახელმწიფო დაფინანსება არ აქვს. შეგვპირდნენ, რომ ნოემბერში უნივერსიტეტს მიენიჭება კოდი და სახელმწიფო რამდენიმე მილიონი ლარით უზრუნველყოფს მხარდაჭერილია. ერთი მათგანი შეისწავლის: აფხაზურ ენას, ისტორიას, კულტურას, ეთნოლოგიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას და ა.შ. მეორე — კონფლიქტების კვლევისა და ახალი რეგიონული პოლიტიკის სამეცნიერო კვლევითი საერთაშორისო ცენტრი იქნება. ჩვენი ქვეყანა კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოა, იმიტომ, რომ იგი არა ჩაკეტილი, არამედ ერთიანი კავკასიური სოციო-კულტურული სივრცის შემადგენელი ნაწილია. ამ რეგიონში უამრავი ექნება აზრი: თუ მეორე მხარეს წარმოდგენილი იქნება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. სხვა შემთხვევაში, ეს, გასეირნებას დაემსგავსება. ამ მიმართულებით ვხედავ პერსპექტივას და გარკვეული ნაბიჯები უკვე კიდეც გადავდგი.

— ახლა, გეოგრაფიული მდებარეობა ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, სად დევს აფხაზეთის პრობლემის გასაღები?

— მოგახსენებთ. ჩვენ გეო-პოლიტიკურ ცენტრად რამდენიმე სახელმწიფოს დედაქალაქს ვასახელებთ-ხოლმე. ეს არასწორი მიდგომაა. გასაღები ჩვენში, უფრო კონკრეტულად აფხაზეთში დევს. გზა სოხუმიდან თბილისამდე სამეგრელოზე გადის. მინდა, აფხაზეთის უნივერსიტეტთან დაახლოების პროცესი დაიწყოს. ანუ, ჩვენ აფხაზეთისკენ დავიძრათ ისე, რომ კერა შევინარჩუნოთ. სად შეიძლება მაქსიმალურად ჩვენი დაახლოება, ადმინისტრაციულ საზღვრამდე ხომ. აუცილებლად მიმაჩნია საზღვართან ზუგდიდში გაჩნდეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქოლგა, რითაც ჩვენი აფხაზი ძმების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოყვანა გაცილებით უფრო ადვილი იქნება. აფხაზი სტუდენტის, მასწავლებლის თბილისში ინტეგრირება უფრო რთული პროცესია, ვიდრე საქართველოს იმ ნაწილთან რომელიც მას ესაზღვრება — სამეგრელოსთან.

ხომ გვახსოვს, როგორ დაიწყო პროცესები, რამაც უნივერსიტეტის გაყოფის, გახლეჩვის სახე მიიღო. რით დაიწყო 90-იანი წლები, რა მოჰყვა პროცესებს, რის გამოც 9 აპრილი მივიღეთ?! არ ვამბობ, რომ ამის მიზეზი უნივერსიტეტი იყო, მაგრამ ნიადაგი, კატალიზატორი იგი გახდა, ურთიერთობებში მოიძებნა ყველაზე სუსტი რგოლი. ეს უნდა ვაღიაროთ, რაც დანაშაული იყო ქვეყნის წინაშე. აფხაზს ქართველზე უფრო დიდი ახლობელი არ ჰყავს და პირიქით. ის პრობლემა, რომელიც დღეს აფხაზს აქვს, სერიოზულია. რაც არ უნდა ვთქვათ ვვითარდებით

6 ბ3.

„უსაზღვრო“ ქვეყანა

4 გვ.

ის გარდა, 1964 წელსაც მოხდა ამ საზღვრის რედემარკაცია, საზღვარი დადგენილია და ყოველგვარი პრობლემა მოხსნილია. ესეც თუ არ გვაკმაყოფილებს ჩავიხედოთ ლევან ალექსიძის ნაშრომში „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“, რომელიც ფაქტობრივად სახელმძღვანელოა. იქ სასაზღვრო მდინარეებთან დაკავშირებითაცაა საუბარი და მითითებულია როგორ გაივლება საზღვარი, თუ სანაოსნო მდინარეა, ფარვატერზე, ყველაზე ღრმა წერტილზე გაივლის, თუ არ არის სანაოსნო, მაშინ ყველაზე მკვეთრად გამოყოფილ მონაკვეთებზე და როგორც არ უნდა შეიცვალოს მდინარემ კალაპოტი, საზღვარი უცვლელი რჩება. ამდენი წელია დადგენილია საზღვარი და რა მნიშვნელობა აქვს ჭოროხმა კალაპოტი თუ შეიცვალა, თან საკითხავია როდის შეიცვალა. ჭოროხს 1979 წელს აქვს კალაპოტი შეცვლილი, მაგრამ მას მერე ამდენი წელი არავის გაუბედავს საზღვრის შეცვლაზე ხმის ამოღება, დღეს კი პრეტენზიებს გამოთქვამენ და შედეგსაც აღწევენ. უარესი სიტუაცია გვაქვს მდინარე ალაზანზე, სამწუხაროდ აქ ნიშნულებიც კი არ არის დადებული, უბრალოდ მითითებულია, რომ ალაზანია აზერბაიჯან-საქართველოს გამყოფი. ჩემი საზღვრის დაცვის დეპარტამენტში მუშაობის დროს, დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე ძმებ ხოსროშვილებს (იორმშენისა და ალაზანმშენის ხელმძღვანელები) ჰქონდათ სამონადირეო სავარგული მოწყობილი, უვლიდნენ ალაზანს და ვერავინ ბედავდა მდინარის კალაპოტის ხელოვნურად შეცვლას. ხოლო მდინარის ზედაწელში, ლაგოდეხის ტერიტორიის მიმდებარედ აზერბაიჯანელებმა ინერტული მასალის (ქვიშა და ღორღი) ჩაყრა დაიწყეს, ალაზანმა კალაპოტი იცვალა და სოფელი ერისიმედი მდინარის მიღმა აღმოჩნდა. მთელი ჰერეთი ხომ დაგვათმობინეს და ახლა იმაზე მიდის დავა და კამათი, ვის ტერიტორიაზეა ეს ხსენებული სოფელი. ასე თამაშ-თამაშით შემოგვაპარეს ხუჯაბის მონასტრის საკითხიც, თურმე ამბობენ, რომ სომხეთის იყო. არცერთ თავმოყვარე სახელმწიფოს არ აქვს ისე მიგდებული საზღვარი, როგორც...ჩვენ. 2013 წლიდან მოყოლებული, არცერთხელ მოგვისმენია თუ არსებობს საქართველოში სახელმწიფო სადელიმიტაციო კომისია, რა საქმიანობას ეწევა. როგორ შეიძლება ის რაიმე საქმიანობა აწარმოოს, როცა დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს გაწყვეტილი ქვეყანასთან, რომელთანაც დაახლოებით 800 კმ-იანი საზღვარი გვყოფს.

საქართველოში არის ორი რთული რაიონი, ახალქალაქი და გარდაბანი, სადაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არჩევნების ჩატარება არსებული საგანგებო მდგომარეობის გამო. ძნელია სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე მასმედიით საუბარი, მაგრამ იძულებული ვარ დავასახელო ეს რაიონები. იქ უნდა იყოს პირდაპირ პრემიერ-მინისტრის მმართველობა, უნდა ინიშნებოდეს პრემიერის რწმუნებული. როგორ შეიძლება ჩაატარო არჩევნები იქ, სადაც მოსახლეობის 80% სახელმწიფო ენას ვერ ფლობს, სადაც მოსახლეობის უმეტესობის ეზოში დამონტაჟებული სატელიტური ანტენები თურქეთისა და აზერბაიჯანისკენაა მიმართული და მოწყვეტილია საქართველოს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ჩვენი, ქართველების და აფხაზების, გადარჩენის საიდუმლო ჩვენს ერთად ყოფნაშია

5 გვ.

და ხვალინდელი დღე გვაქვსო, ეს ტყუილია. ეს არ არის ბოლომდე ნათქვამი სიმართლე. საფრთხე, რომელიც დღეს აფხაზს იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით აქვს, ხვალ ჩვენ დაგვიდგება. ამიტომ, ჩვენი ქართველების და აფხაზების, გადარჩენის საიდუმლო ჩვენს ერთად ყოფნაშია. ის რაც ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს ყოველგვარ პოლიტიკაზე მეტია. მოდით, წინა პლანზე ჩვენი საერთო თანაცხოვრების დადებითი მომენტები წამოვწიოთ, გავაჩინოთ ახალი სამშვიდობო ენა. ქართული სახელმწიფო ორი ხალხის, ორი დამფუძნებლის საერთო ინტერესებში უნდა ვამუშაოთ.

— ბატონო ზურაბ, უნივერსიტეტის ძველი კონტიგენტი თუ არის შენარჩუნებული?

— ძალიან კარგი კითხვაა. რა თქმა უნდა, ქართული ნაწილი შენარჩუნებულია, მათ შორის, რამდენიმე როგორც ადმინისტრაციის თანამშრომელი, ისე აკადემიური პერსონალი, ასევე, ის აკადემიური პერსონალი, რომელიც სოხუმში ჯერ კიდევ აფხაზეთის უნივერსიტეტში სტუდენტები იყვნენ. ყველა ვისთანაც ურთიერთობა მქონია და ვისი აზროვნებაც სახელმწიფოებრივია აღიარებს იმ შეცდომას, რაც ჩვენი გათიშვის მიზეზი გახდა და ზოგადად, უნივერსიტეტის გაყოფას გმობს. ნახევარი სიმართლით არ უნდა ვიაროთ. ნუ ვამკვიდრებთ საქართველოში სიმართლის თქმის შიშს თორემ, ყველაფერი თავზე დაგვემსხვრევა.

— ბატონო ზურაბ, ალბათ სტუდენტებთანაც გქონდათ შეხვედრა. მათ რა სიახლეებს სთავაზობთ?

— დიახ, გავეცანი ჩვენს სტუდენტობას. დიდი ნაწილი ღირსეული თაობაა. სტუდენტების მცირე ნაწილი, სამწუხაროდ, მართვადია. ჩემი მიზანია მათ აზროვნებაში სიცხადე შევიტანო, თვალი ავუხილო, გავაჩინო არჩევანის შესაძლებლობა სიკეთესა და ბოროტებას, არსებულს და მომავალს, გუშინდელსა და ხვალინდელს შორის. ვცდილობ, ყოველი კვირა შემოქმედებითად დატვირთული იყოს. შეხვედრა გვქონდა „აწარმოე საქართველოს“ დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ოთარ ანთიასთან. გვინდა ამ პროექტის ფარგლებში ახალი მიდგომა, მიმართულება გაჩნდეს — „აწარმოე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად“. ეს უმაღლეს სასწავლებელში პრეცედენტი იქნება. ასევე, შევხვდით დავით ლანჩავას იურისტს, რომელიც ყველა დიდი, მეგაპროექტის სათავეებთან იდგა. ამ შეხვედრებს შემეცნებითი ხასიათის დატვირთვა ჰქონდა: ვინ, რა ვართ ქართველები, რომ არ ვართ ჩაკეტილი სივრცე, რა მართავს სამყაროს და რატომ არის საქართველო ინტერესის საგანი, სად შეიძლება ერთიან ქართულ სახელმწიფოში უნივერსიტეტმა, საერთო ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენი ადგილი ვიპოვოთ და მეორეც, შევდგეთ როგორც პოტენციური დამსაქმებელი.

ასევე, გვინდა ფინანსური რესურსი ქვეყნის გარედანაც მოვიზიდო. მინდა შევქმნა რექტორის ფონდი, რომელიც გამჭირვალე იქნება. საბიუჯეტო სახსრები, რომელიც 7 მილიონ ლარამდეა მინდა მოხმარდეს არა მატერიალურ, ინფრასტრუქტურულ მხარეს, არამედ მთლიანად სტუდენტებს. აქვე გეტყვით: სტუდენტს რომლის აკადემიური მოსწრება მაღალია და თანაც დევნილია, სოციალური მდგომარეობის გამო, სტუდენტის სტატუსი არ შეუჩერდება.

მე, არ წარმოვადგენ არცერთ პარტიას და არცერთ პოლიტიკურად ორიენტირებული ჯგუფის ინტერესს, არამედ წარმოვადგენ უნივერსიტეტს — საქართველოში ყველაზე დიდ საქართველოს.

— ბატონო ზურაბ, რა პრინციპით ირჩევს სტუდენტი სოხუმის უნივერსიტეტს, რით გამოირჩევა სხვებისგან, თუნდაც, აფხაზური ენა თუ ისწავლება?

— ჩვენს ერთიანობას და აფხაზეთს. ჩვენ გვაქვს ენების ცენტრი. გარდა ამისა, ენების ცენტრში მოვიყვანეთ აფხაზური ენის ორი სპეციალისტი. ზოგადად, აფხაზური ენა ჩვენს ქვეყანაში, აფხაზეთის ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფო ენაა. იგი, სამწუხაროდ, იუნესკოს მიერ გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომ ენებშია შეტანილი. ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში გვინდა ეს ენა გადავარჩინოთ და საქართველოს შევუნარჩუნოთ, რა თქმა უნდა, მათ შორის აფხაზს, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. აფხაზური ენის სპეციალისტი ძალიან დიდი დეფიციტია არა მხოლოდ საქართველოს ამ ნაწილში, არამედ აფხაზეთშიც. გვინდა აფხაზები გამოვაფხიზლოთ, რათა აფხაზური ენა მათი ზრუნვის საგანიც გახდეს.

ერთი რამის ძალიან მეშინია: დღეს, აფხაზური სივრცე ვიწროვდება და იკუმშება თვითონ აფხაზისთვის. ხვალ და ზეგ თუ ასე გაგრძელდა, იქ, მისი ადგილი აღარ იქნება. რეალურად ეს სურათია, მაგრამ ამის აღიარება უჭირთ. ყველა თავისი სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე მოქმედებს. მოდით, ჩვენც, ჩვენი ინტერესიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

შალვა ოგბაიძე:

თბილისზე ურბანული შემოტევა უნდა შევაჩეროთ!

ელექტროტრანსპორტის კუბოზე უკანასკნელი ლურსანი სწორედ იმ ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაჭედა,

საქართველოში ნებისმიერი დონის არჩევნები ტრადიციულად, პოლიტიკური ტემპერატურის მატებასთან ასოცირდება და გამონაკლისი არც 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გახლავთ. თბილისში გზების განტვირთვის, ელექტრო ტრანსპორტის განვითარებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გეგმების წარდგენა მერობის კანდიდატთა მწვავე დებატებისა და ურთიერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობს.

თბილისში ეკოლოგიურად სუფთა ელექტრო ტრანსპორტის და ზოგადად, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე „ქართული ოცნების“ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატი შალვა ოგბაიძე გვესაუბრა:

— თბილისში ეკოლოგიურად სუფთა ელექტრო ტრანსპორტის განადგურების პროცესი ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლამდე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. ეს ის პერიოდია, როდესაც ბუნებრივი აირის მოწოდება შეგვიწყვიტეს და მთელი დატვირთვა ელექტროსადგურებს დააწვა. ამ პერიოდს უკავშირდება ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის გაჩერება, თუმცა ელექტროტრანსპორტის კუბოზე უკანასკნელი ლურსანი სწორედ იმ ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაჭედა, რომელიც ახლა გვიკიჟინებს, რომ თურმე, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის აღდგენის ხედვა არ გვაქვს. როგორც ინჟინერს, კარგად მესმის, რომ მოძველებული, „ხრიგინა“ ტრამვაის დრო წავიდა, მაგრამ გაჩერებული ინფრასტრუქტურა იმედს ტოვებდა, რომ რაღაცას შევცვლით და განვაახლებდით. ამ ინფრასტრუქტურის გასხვისებით და ხშირ შემთხვევაში, მის ადგილზე ურბანული განვითარებით ბევრ საინტერესო მიმართულებას მოესპო პერსპექტივა.

— კონკრეტულ მაგალითებს ხომ ვერ დაგვისახელებთ?

— მაგალითად, საავიაციო ქარხანასთან, ყოფილი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, ტრამვაის ხაზის მოხვევის ადგილზე გაცემულია მშენებლობის ნებართვები. შეგიძლიათ ნახოთ, რომელ პერიოდში გაიცა რესტორნის მშენებლობაზე ნებართვა სარაჯიშვილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტრამვაის ხაზთან. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მთლიანად განადგურდა დიდუბისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შემაერთებელი ტრამვაის ხაზი, მეტრო გურამიშვილისა და თემქის დამაკავშირებელი ხაზი, მოსკოვის გამზირზე გამავალი ხაზი და ბევრი სხვა.. ამ პროცესს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ელექტროტრანსპორტის გამოცხადებული განადგურების ქრონოლოგია და დასამარება. გზებზე საცობები და უამრავი ავტომობილი არის პრობლემის შედეგი და არა მიზეზი. მიზეზი ეკოლოგიურად სუფთა ელექტროტრანსპორტის მოსპობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში გატარებული არასწორი პოლიტიკაა.

— ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტებისგან მსმენია, რომ ტრამვაის მოძრაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის სიძვირისა და ურბანული განვითარების წყალობით დავიწროვებული ქუჩების გამო, თბილისისთვის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი აუხდენელ ოცნებად დარჩება.

— სანამ ამაზე გიპასუხებთ, გეტყვით, რომ დედაქალაქი ცოცხალი და გონიერი ორგანიზმია, სადაც ტრანსპორტმა და საჯარო სექტორმა მშვიდობიანად თანაარსებობა უნდა შეძლონ. მაგალითად, გერმანიის ალექსანდერ პლაცზე, სადაც ადამიანები სეირნობენ, უხმაურო და კომფორტული ტრამვაის მოძრაობა პრობლემას არავის უქმნის. რაც მთავარია, ურბანული განვითარება საჯარო სივრცის შეზღუდვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ამ სფეროში დაშვებული შეცდომების გამო, საზოგადოებრივი ტრანსპორტი არაპოპულარული გახდა. ავტოპარკის განახლების პოლიტიკის არქონამ ის გამოიწვია, რომ პატარა კუბატურის ავტომობილი და მოსიარულე ციხესიმაგრეებივით დიდი ჯიპები, რომლებსაც 100 კილომეტრზე 25-დან 30 ლიტრამდე საწვავი ჭირდებათ, ერთნაირად იბეგრება. არ იყო წახალისებული ეკოლოგიურად სუფთა ტრანპორტი, რისი გამოსწორების მცდელობა წინა ხელისუფლებას ჰქონდა და ამ პერიოდშიც გაგრძელდა. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ჩვენი დედაქალაქი ნელ-ნელა ელექტრომობილებისა და ჰიბრიდული მანქანებისადმი მეგობრული ქვეყანა ხდება.

— მეგობრობა რაში გამოიხატება?

— თუნდაც იმაში, რომ თუ ელექტრომობილი გყავთ, პარკირების გადასახადისგან თავისუფლდებით და იმაშიც, რომ ჰიბრიდული ავტომობილები 1-დან 6 წლამდე საკმაოდ შეღავათიანი რეჟიმით იბეგრება. შეიძლება ბევრი არაფერია, თუმცა, სახელმწიფოს დამოკიდებულებას გამოხატავს. რა თქმა უნდა, ეს ვერ შეცვლის ეკოლოგიურად სუფთა ელექტროტრანსპორტს და ქალაქის განვითარების 30 წლიან გენერალურ გეგმაში, რომელსაც სულ მალე მივიღებთ, ეს გათვალისწინებულია. დედაქალაქი ელექტროტრანსპორტის განვითარების პერსპექტივის გარეშე არ დარჩება და ეს ახლად არჩეული თვითმმართველობის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს. რამდენიმე ადგილზე, თუნდაც ავჭალაში, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, მეტრო სარაჯიშვილიდან ლითონკონსტრუქციების ქარხნამდე და იმის ზემოთ, უწერის ქუჩამდე, თავისუფლად შეიძლება თანამედროვე ტრამვაის ხაზის აღდგენა, რადგან კიდევ შემორჩენილია ტრამვაისათვის განკუთვნილი გზის შუა ნაწილი, რომელსაც ლანდშაფტური და რეკრეაციული ზონების სტატუსი დავადეთ და არაფერი დაემუქრება. ეს ხანგრძლივი პროცესია და ერთ კვირაში ვერ გაკეთდება, მაგრამ როცა მიზანი და სწორი დამოკიდებულება არსებობს, ამ მიზანს აუცილებლად მიაღწევ. ჩვენს დედაქალაქში ელექტროტრანსპორტი უნდა იყოს და მორჩა!

— ხშირად ისმის საყვედური, რომ თბილისი „ბეტონის ქალაქად“ იქცა და მწვანე საფარი და რეკრეაციული ზონები განადგურდა. ხშირად ასეთი ბრალდებები უპასუხოდ რჩება.

— თანაგუნდელების მიმართ თუ რამე მაქვს სასაყვედურო, ისაა, რომ ხშირად ვერ ვახერხებთ თანამოქალაქეებს შევახსენოთ, რის შედეგებს ვიმკით. შევახსენოთ თუნდაც, სპორტის სასახლის უკან „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აშენებული „ბეტონის ჯუნგლები“ და კიდევ უამრავი მშენებლობის ნებართვა, რაც რიგითი თბილისელებისთვის, თბილისის მომავალი მერისა და საკრებულოსთვის ცალკე ურბანული „თავის ტკივილია“. გავიხსენოთ ყოფილი სასტუმრო „აჭარის“ წინ არსებული მოედანი. მთელი მსოფლიოს მუნიციპალიტეტები უზარმაზარ ფულს ხარჯავენ, რომ ობიექტები გაიტანონ და მოედნებისთვის სივრცე შექმნან და ნაციონალებმა პირიქით, ყოფილი კონსტიტუციის მოედანზე სასტუმროს აშენება მოინდომეს. საქმე ისაა, რომ სატრანსპორტო მოედანი წარმოადგენს სხვადასხვა კუთხიდან მომავალი ტრანსპორტის ნაკადების „დალაგების“ ერთგვარ ბუფერულ სივრცეს და ამის გაქრობით მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.. თუ არ ვცდები, 2010 წელს ასათიანის 6 ნომერში, ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე გაიცა ნებართვა 116 მეტრის სიმაღლის რვა ცათამბჯენის მშენებლობაზე, რისთვისაც 4 ნახევარი ჰექტარი მწვანე საფარი უნდა გაიჩეხოს. საპროექტო მონაცემებით, კორპუსები გათვალისწინებულია 2500-მდე ავტომობილზე. წარმოიდგინეთ, ეს 2500 ავტომობილი უნდა გამოვიდეს ასათიანის ქუჩაზე, წავიდეს ქვემოთ, გადაკვეთოს ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგის ქუჩა, კარტოზიას ქუჩით დაეშვას იპოდრომისკენ და სანაპიროზე გავიდეს. შუქნიშანს, რომელიც ვაჟა-ფშაველასა და ასათიანის ქუჩებს არეგულირებს, საათში 200-ზე მეტი ავტომობილის გატარება არ შეუძლია. უკვე არსებულ ნაკადს კიდევ 2500 ავტომობილი რომ დაემატება, ადვილი მისახვედრია რა მოხდება და მერე, ამდენი მანქანის სამრიგიანი ნაკადი კარტოზიას ქუჩის დასაწყისთან ერთ რიგში რომ გადაეწყობა, რომ



გორ საცობს შექმნის. არქიტექტორულად ულამაზესი შენობა აიგო გალაკტიონის ძეგლთან, მაგრამ ეს რას უზამს ყიფშიძის ქუჩის რკალს და მთლიანად, ეს მაღლივი შენობები რა დღეში ჩაგდებს ჭავჭავაძის ქუჩას, ძალიან მალე ვნახავთ. ეს ყველაფერი, ერთად აღებული გახლავთ ნაციონალური მოძრაობის შენელებუული მოქმედების ნაღმები, რომლებიც მემკვიდრეობით გვერგო. ახლა უნდა ვიმუშაოთ და როგორც ურბანისტები ამბობენ, შეიძლება შევარბილოთ ის მავნე, ურბანული შემოტევა, რაც დაგვხვდა.

— იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, რომელმაც თავის დროზე, თბილისში მეორადი მოხმარების ჰოლანდიური ავტობუსები ჩამოიყვანა, იმასაც გსაყვედურობენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკმარისი რაოდენობის ახალი ავტობუსების შემოყვანა ვერ მოახერხა. ამაზე რა პასუხი გაქვთ?

— ვამაყობ, რომ თბილისში ჩამოყვანილი 143 ავტობუსის მოდელის შერჩევასა და გადაწყვეტილების მიღებაში ჩემი წვლილიცაა. კახი კალაძის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისის გაუმჯობესება გახლავთ. იგეგმება 700 ავტობუსის შეძენა და საავტობუსო პარკის მთლიანად განახლება. პარალელურად, გრძელდება მეტროპოლიტენის რეაბილიტაცია. უკვე გარემონტდა მეტროს 8 ვაგონი. რა თქმა უნდა, მოძრავი შემადგენლობის განახლება მატარებლებს შორის ინტერვალს შეამცირებს, რაც ნიშნავს, რომ ბაქანზე ადამიანების დიდი მასა აღარ მოიყრის თავს. რეაბილიტაციის პროცესი მოძრავი შემადგენლობის გარდა, მოიცავს ესკალატორებს, ვესტიუბიულებს და ა.შ. უკვე გაიხსნა ახალი მეტროს სადგური „უნივერსიტეტი“. ამას დაემატება ბაგირგზათა გარკვეული მიმართულებით განვითარება. ასე, რომ პრობლემებისა და ცუდი მემკვიდრეობის მიუხედავად, ჩვენ ოპტიმიზმით ვუყურებთ მომავალს. გვაქვს ძალა, რესურსი და გამოცდილება, რომ უახლოესი ამოცანები და გამოწვევები, რაც ჩვენი თანამოქალაქეების ტრანსპორტით მომსახურეობას ეხება, წარმატებით გადავჭრათ.

ნელი თორდია
571 35 36 88

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული, ქარიზმატული ზურაბ წერეთელი... კაცი – ყველას მეგობარი, კაცი – ზოგადი, საკაცობრიო...

პუბლიცისტმა და ესეისტმა ნათელა კობიაშვილმა დაამთავრა მუშაობა ვრცელ, 2000-გვერდიან მონოგრაფიაზე „ზურაბ წერეთელი: „ვქმენ, რაც შევიძელ, უკეთ ქმნან სხვებმა“. მონოგრაფია, რომელზეც ავტორი სამი წლის განმავლობაში მუშაობდა, ხუთი წიგნისგან შედგება, რომლებშიც 3000-მდე ილუსტრაცია განთავსდება. ნათელა კობიაშვილის ნაშრომი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და სრულყოფილი მონოგრაფიაა, რაც ზურაბ წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილა. ვულოცავთ ავტორს ამ უაღრესად მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას და აქვე გთავაზობთ ფრაგმენტს მონოგრაფიიდან.

ბუნებრივი, თვითმყოფადი გენია. მსოფლიო მოქანდაკე – მეფე ცხვართა და კაცთა, ხეთა და მთათა, კოშკთა და ეკლესიათა, ჩუქურთმათა და ქალთა, ყვავილთა და ცხოველთა, ზღვათა და ოკეანეთა, ცრემლთა და დღესასწაულთა, ცეცხლთა და ვულკანთა... ყველაფერს მიაღწია: საყოველთაო სიყვარულს, გენიალობას, მსოფლიო აღიარებას, ტრიუმფებს, სიმდიდრეს... თვითონ შექმნა სამყაროს ცენტრი, თვითონ დაასახლა, თვითონ შთაბერა სული, თვითონ გამოაქანდაკა, თვითონ დააწესა სიცოცხლე, თვითონ აიგო უკვდავება და არავის ქომაგობა არ დასჭირვებია, თვითონაა სხვათა ქომაგი და შემწე.

როცა სული აშენებულია, გუმბათდადგმულია სულის ტაძარი.

ზურაბ წერეთელი – მსოფლიოს არტ-მეზღვაური, ორი ფლოტის მეთაური, – იმპერატორ პეტრე I გემის „პეტრე აპოსტოლისა“ და ადმირალ ქრისტეფორე კოლუმბის „კარაველას“ გემთმშენებელი. გემები ააგო და ლეონარდოს კვალში ჩაუდგა. ავატარივით გადაევლო ოკეანეებს და დროის ციკლების ხუროთმოძღვრად მოგვევლინა.

არტისტული **„კოლუმბი“**, 126 მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს გიგანტი ოკეანის პირას აღიმართა... ოკეანური შემართებით კონსტრუირებული გლობალური ქანდაკება, კრეატიული ხელით შექმნილი, სტიქიების მომთვინიერებელი – ემზადება გლობალიზაციის მძლავრი ტალღების შესახვედრად...

მსოფლიო ხელოვნების მექაში, ნორტდამის ეზოში აღიმართა წერეთლის ქანდაკება **„იოანე-პავლე II“** – პრესტიჟი და მსოფლიო აღიარებაა ქანდაკების აღმართვა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში... ამბობენ, რომ როდენის დიდი სურვილი იყო პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან ძეგლი აღემართა, თუმცა ვერ შეძლო... დღეს, წერეთლის შედევრმა დაიდო აქ ბინა...

მსოფლიო რადიუსით გამართული წერეთლის მონუმენტები კონტინენტალური მისტერიის თანამონაწილენი გახდნენ... სამ ერთმანეთისგან გეოგრაფიულად დაშორებულ წერტილებში, სამი **„წმინდა გიორგის“** სკულპტურული ჯირითი მსოფლიო სცენაზე – თბილისი, ნიუ-იორკი, მოსკოვი – რუსთაველის სიბრძნის რეპერებად გვევლინებიან: **„ბოროტსა სძლია კეთილმან“**.

„იუნესკო ერთხმად აღიარებს ზურაბ წერეთლის მსოფლიო ლიდერობას, როგორც მოქანდაკისა და მსოფლიო მოქალაქის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დემონსტრირებს კულტურათა დიალოგის განვითარებას ხელოვნების საშუალებით“ (გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი, იუნესკოს გენერალური დირექტორი კოიჩირო მაცურა).

მსოფლიო მონუმენტალური ხელოვნების ლიდერი.

საფრანგეთის თანამედროვე ხელოვნების „საერთაშორისო აღიარებით – **„ოქროს ხელის“** მფლობელი“.

მსოფლიო არტ-სცენის დიდი არტისტი და ტრიუმფატორი.

მსოფლიო პრესტიჟით მოცული ექსტრავაგანტური მაესტრო – უდიდესი შეკვეთებით.

დღეს საქართველოში არ არის, მაგრამ საქართველოა მასში.

საქართველო და ფიროსმანი თან დააქვს, გულის ჯიბიდან ამოაქვს დასტა-დასტა ყვავილები და ბღუჯა-ბღუჯა სკულპტურები...

მზის დავალებით ადიდებს ოქროთი დაფერილ მზესუმზირებს... დამარჯნა მინანქარი და ოქრო ადინა, სიცოცხლის კორიანტელი დააყენა და მზე ააჩახჩახა... მინანქრის სანთლები აანთო და დიდი ცეცხლი დაანთო... ყვავილების ლაშქრით, ზღვა სიყვარულით აღვსილმა **„ჩამოზიდა მიწად ლაჟვარდი...“** სიცოცხლე ხელოვნებასთან შეადედა, ხელოვნება სიცოცხლესთან...

საკუთარი მარჯვენით გამოკვეთა თავისი ბედი და იღბალი, თავისი გზისა და ხვედრის ერთადერთობა...

კიდევ ვის შეუძლია დღეს, ასე მამაკაცურად, ასე არტისტულად და მამაცურად მოაგროვოს საკუთარი თავი?

მცხეთის გზაზე, შემოგეგებებათ მთებს შორის მლოცველი **„წმინდა ნინო“**... როცა უფლის კვართი მცხეთის მიწაში დაუნჯდა, მას გამოჰყვა წმიდა ნინო, ეს სულიერი ნაკადი, სამოთხისეული ხიდან მომდინარე პარალელები, რაც იერუსალიმისა და მცხეთის სვეტიცხოველს შორის არსებობს წერეთლის თანმდევია... მცხეთის შემოსასვლელში, თბილისში აღმართული **„წმიდა ნინოს“** ხატება საქართველოს თანმდევი გახდა.

პეტრე I

ქრისტეფორე კოლუმბი

ჰკითხეთ თბილისის ზღვას, ჰკითხეთ ტალღებს, ჰკითხეთ განთიადს, ჰკითხეთ ტყეს, ჰკითხეთ უდაბნოსფერ ქვიშის ფერდობებს, ჰკითხეთ ქარიშხალს, ჰკითხეთ მზეს, ჰკითხეთ სიყვარულს, ჰკითხეთ ყვენის მთას და მიწას, ჩვენს ტანჯულსა და საყვარელ მიწას – ის გეტყვით ვინ არის წერეთელი, ის გეტყვით, როგორი მოწამეობრივი თავდადებით ააგო ქართული ბრინჯაოს მთა – ადამიანის მსგავსი მთებით, ადამიანები მსგავსნი ღმერთებისა და ღმერთები მსგავსნი მთებისა...

არასოდეს დავიწყებია რა უთხრა მთამ, საქართველოში ხომ ყველა სახლის წინ კავკასიონია აღმართული...

მონოლითური ქანდაკებები და მონოლითურ ქანდაკებათა მსგავსი ქართველი გმირები კავკასიონის ზვავივით აღიმართნენ თბილისის ზღვაზე – წერეთელს ისინი გამოუწვევია ისტორიის, რელიგიის, ხალხური პოეზიის საგანძურიდან...

ბრინჯაოს გრანდიოზული გვირგვინი აღუმართა სამშობლოს თბილისის ზღვაზე არქიტექტურულ-მონუმენტურ-სკულპტურულ ანსამბლში **„საქართველოს ისტორია“;** მარტყოფის, დიდგორის, ზედაზნის, მთაწმინდისა და შავნაბადას სივრცეების გზასაყარზე, – მცხეთის გზაზე უზარმაზარი ბრინჯაოს საფსალმუნე ამბიონი აღმართა და სივრცის ანატომიის დიდოსტატად წარმოგვიდგა.

ეგვიპტის პირამიდებივით მარადისობის ნიშნით აღბეჭდა ქართველთა ისტორია და შექმნა უზარმაზარი ბრინჯაოს მხატვრული სისტემა, საკუთარი მოდელი ქართველი ხალხის სულიერი ბიოგრაფიისა იესო ქრისტეს თანდასწრები თ. დიდი სულიერი ინფორმაციის კოდირება მოხდა ბრინჯაოში.

წერეთელმა განახორციელა ქართველი ხალხისა და რელიგიური ხელოვნების შედუღაბება **„საქართველოს ისტორიაში“**. ეს ერთგვარი რელიგიური განახლება გულისხმობს ქრისტიანული მასალის გულწრფელ ფორმაში მოქცევას, რათა ის ჭეშმარიტად ხალხური გახდეს და პირდაპირი მემბრანებითა და „ძაფებით“ შეუერთდეს ადამიანთა გულებს.

სახე-სიმბოლოთა საგანძურით, შინაგანად ერთიანი ქრისტიანული მსოფლხატი შექმნა. წერეთელმა უდიდესი ძალა, მილიონები და გე-

წმ. გიორგი (თბილისი)

წმ. გიორგი (ნიუ იორკი)

წმ. გიორგი (მოსკოვი)

რომის პაპი იოანე პავლე II

ნია მოახმარა იმას, რათა ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან შეეერთებინა – ქართველი ხალხი და ქრისტიანობა – ლიტურგიულ წესრიგში დააუნჯა. ეს უდიდესი მისიაა, რომელიც გულისხმობს არა მარტო უსაზღვრო განსწავლულობას, არა მარტო ქრისტიანული კულტურის ღრმა ცოდნას, არა მარტო ქართული გონის სიყვარულს, არამედ ლიტურგიკის აზრობრივ-სპირიტუალური ფესვების წვდომასაც. არა მხოლოდ მეცნიერულ-ანალიტიკურ გონს, არამედ ღვთისმოსაობის საკრალურობის უტყუარ შეგრძნებას, რელიგიურ შთაგონებასა და ჭეშმარიტ პოეტურ ტალანტს. ვინ არის კიდევ წერეთლის გარდა სხვა, რომლის ქმნილებებმაც უნდა ასაზრდოოს და ამოძრაოს ქართველი? ვის უყვარს კიდევ სამშობლო ასეთი ძალით?

ცოდვა-მადლიან დედამიწაზე, ბავშვივით აღუპყრია თვალები ცისკენ და აქ გათამაშებულ ასტრალურ დრამებს აკვირდება, ცდილობს მზის დაბნელებაში ღვთიურ მინიშნებათა აზრი ამოიკითხოს, მასში ხომ დიდი ეპიკური ტალანტი და ჭეშმარიტი პოეტი „გვემალება“ რომელიც საოცარი შემოქმედებითი ვაჟკაცობითა და გაბედულობით, მეცნიერულ-ანალიტიკური გონით, ხელოვნებისა და რელიგიური ზეშთაგონებით ქმნის ბრინჯაოს ქართულ-ქრისტიანული „წიგნის“ უნიკალურ კრებულს...

თბილისის ზღვაზე გააჩაღა და გააძლიერა ქართველთ სულთა დანატოვარი სანთელ-საკმეველი. პლასტიკის გამოცდილება ორგანულ ძალად გარდაქმნა და უჩვეულო არტისტიზმით გამოკვეთა ბრინჯაო. რომანტიკულ ფანტაზიათა დიდოსტატია წერეთელი – ეს არის შინაგანი რწმენით აღმოჩენილი, ბრინჯაოთი დაბეჭდილი და ამოფრქვეული ქართული სამყარო, რომელიც ჯადოსნური კვერთხის დაქნევით განეფინა თბილისის ზღვას. წერეთლის რაინდულ-რომანტიკული მისტიციზმი წმინდა ქართული მოვლენაა, რუსთაველის ფესვებიდან ამოზრდილი და ახალ თვისობრიობაში გადაზრდილი...

64 ქრისტიანული პერსონაჟი, 64 ისტორიული პერსონაჟი – ისტორიულ-რელიგიური ინტენციებით ბრინჯაოში ნაძერწი 35 მეტრი სიმაღლის, 16 კოლოსის უზარმაზარი სილუეტები აღიმართა თბილისის ზღვაზე და წერეთლის შემოქმედების ნიშან-სვეტად და ფსიქო-ფილოსოფიურ პარადიგმად წარმოგვიდგა. აქ გაცხადებულია ქართული სულის მონუმენტალური აღნაგობა, პლასტიკა, მრავალხმიანობა, რომელიც ამოყვანილია **„საქართველოს ისტორიის“** საძირკველზე – საუკუნეთა მიერ დაგროვილ კულტურულ მემკვიდრეობას თავი მოუყარა, სისტემაში მოიყვანა. აქ დაასახლა დიდი ქართველნი იესო ქრისტეს თანდასწრებით – აქ გამთლიანებული სულიერი სამშობლოა, ბრინჯაოს ჯადოსნობით მხატვრულ რეალობად ქცეული სულიერება, რომლითაც ბრინჯაოს სტიქიაში მარადიული სასუფეველი დაუმკვიდრდა ქართულ სულიერ სამყაროს.

ქართული სულისთვის ნიშანდობლივი მრავალხმიანობა, ანალოგი რომ არა აქვს მსოფლიოში, – სწორედ ამ განწყობითა და შემართებით მოქსოვა წერეთელმა ბრინჯაოს შედევრი, ქართული სულის შედევრი...

შედევრი ამბობს: **„მე ვარ ის, რაც ვარ“**...

ზურაბ წერეთელმა, „დაგანძა“ და „დააფოლადა“, მუხებივით ჩამოდგა ერის სულიერი საგანძური და მსოფლიო არტ-სივრცეში წარმოადგინა ბრინჯაოს გენერალური გმირი, – საქართველო...

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“... ილიას ლექსს აედევნა და აადევნა საქართველო...

რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი...

საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი...

საფრანგეთის უკვდავთა აკადემიის ფერწერისა და სკულპტურის აკადემიის წევრ კორესპოდენტი...

ესპანეთის სან-ფერნანდოს ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის აკადემიკოსი...

ნიუ-იორკის ბროკპორტის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი...

ავსტრიის ევროპის აკადემიის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის ნამდვილი წევრი...

შეუძლებელია, მისი ტიტულების და წოდებების ჩამოთვლა, შეუძლებელია, რადგანაც ისინი ასობითაა.

საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი...

პარიზის ორი მედალი: ხელოვნებისა და ღირსების ორდენი; ხუან მიროს ესკიზით შესრულებული პიკასოს ოქროს მედალი.

ამერიკის ოქროს მედალი: **Gold Medal Of Honor** (მიღებული აქვთ დალის და რაუშენბერგს)...

წერეთლის პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში გაიმართა 1966 წელს, 33 წლის, ქრისტეს ასაკში. მეორე, დიდი პერსონალური გამოფენა კი 1998 წელს გაიმართა მანეჟში, მოსკოვში, რომელიც მიეძღვნა ინესას ხსოვნას... ამის შემდეგ იწყება მისი საგამოფენო მარათონი მსოფლიოში: დიდი მანეჟის, ტრეტიაკოვის გალერეის, სანკტ-პეტერბურგის, ამერიკის ხელოვნების ნაციონალური კლუბი, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, თურქეთში, ჩინეთში და სხვა.

სამუზეუმო ლამპრები აანთო, 10 მუზეუმის დამაარსებელია.

წერეთელი მუშაობს გენიალობის რეჟიმში...

წერეთლის შრომა ჯადოქრობაა...

„მგელივით ვმუშაობ“ – ეს მისი სიტყვებია...

ჭიათურის მეშახტეების დუქნიდან

ფიდა ნინო

მსოფლიო აღიარებით პარნასისკენ მიმავალი, ისევ მძლე და დაუცხრომელი, მუდამ ცეცხლთან მოთამაშე, მუდამ უცნაურის შესაქმნელად განწყობილი, თავის ბრინჯაოს გმირებივით მყარად დგას მიწაზე, მჭედელიც არის და ვარსკვლავთმრიცხველიც, არტისტიც და მოჭადრაკეც, მებაღეც და მემატიანეც, მოგზაურიც და მეზღვაურიც, მლოცველიც და მასპინძელიც, ბრძენიცა და გულუბრყვილოც...

წერეთლის ბრინჯაოს გიგანტები მთელ პლანეტაზე დასახლდნენ...

წერეთლის ფორმულა: რეალობა უნდა განვიხილოთ, როგორც უჩვეულო და წარმოუდგენელი – დღემდე ძალაშია. რენესანსული ჟინით „ატეხილი“, შეუძლებელი იდეების ავტორი და განმახორციელებელია...

წერეთელმა გლობუსი დაიპყრო...

წერეთლის ლეგენდარული ბრინჯაოს ლეგიონი, რომელსაც სკულპტორი, როგორც საკუთარ ლაშქარს წინ მოუძღვის – დღემდე ტრიუმფატორია...

წერეთელი **„დავლათიანი“** კაცია, როგორც შემოქმედებაში, ისევე ცხოვრებაში.

„ნაყოფიერება გენიის ატრიბუტებია“ (გოეთე)...

პიკასომ შექმნა 13500 სურათი, შეასრულა 100000 გრავიურა, 34 ათასი წიგნის ილუსტრაცია, 300 სკულპტურა და უამრავი კერამიკული ნაკეთობა. პიკასო, ნაყოფიერებით ტოლს რომ არავის უდებდა, დღეს წერეთელმა გადააჭარბა: სურათები ათასობითაა, მისი ცნობილი ტყავის საქაღალდეები ათიათასობით ნახატს ინახავს; რამდენი სკულპტურა შექმნა წერეთელმა არავინ იცის, ბარელიეფური ანსამბლები, ბარელიეფური პორტრეტები, მინანქრის კედლები და ხეები, პანოები და მინიატურები, მოზაიკის სკულპტურები, ვიტრაჟის კედლები, ბროლისა და შამოტის, გობელენისა და ოქროს ნაკეთობები...

6 ეკლესია... თეატრის ფარდები, თეატრის გუმბათებია... ზოო-არტი, შადრევნები, მეტროები...

ნათელა კობიაშვილი



საქართველოს ოსტორია

რედაქციისაგან:

თბილისელებს და თბილისის სტუმრებს დიდი ხანია აოცებთ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული მემორიალური კომპლექსი „საქართველოს ისტორია“. აოცებთ თავისი გრანდიოზული მასშტაბებით, უნიკალურობით, უსაზღვრო შემოქმედებითი ფანტაზიით, მონუმენტურობით.

12 ჰექტარზე განლაგებული ეს კომპლექსი, რომელიც გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, ხელოვნების ენით გადმოცემული საქართველოს ისტორიაა, რომელშიც გასაოცარი ოსტატობით არის მოთხრობილი ქართული სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპი, დაწყებული უძველესი დროიდან დღემდე.

ავტორი კომპლექსისა, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს ისტორიის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი ზურაბ წერეთელია.

კომპლექსის ხილვისას არ შეიძლება არ გაგახსენდეს პოეტის უკვდავი ფრაზა: „სამშობლოს გრძნობა განსაკვირველი“.

პირველ ყოვლისა, სწორედ სამშობლოს გასაკვირველი გრძნობით განცვიფრებს და გმუხტავს ეს მემორიალური კომპლექსი და უდიდესი პატივისცემით და მადლიერებით განგაწყობს მისი ავტორისადმი.

მხოლოდ სამშობლოს უკიდეგანო სიყვარულს, მის მიმართ განსაკუთრებული მოვალეობისა და პასუხისმგებობის გრძნობას შეუძლია შეგაძლებინოს თითქმის შეუძლებელი და ასეთი უკვდავი ძეგლი დაგადგმევინოს შენი ქვეყნისთვის.

ზურაბ წერეთელმა ამ კომპლექსში, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი სიცოცხლე ჩადო.

სული ჩადო, იტყვიან ქართველები...

დიახ, ზურაბ წერეთელმა ამ შედევრში თავისი სული ჩადო, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ ერთადერთს — სამშობლოს.

„საქართველოს ისტორია“, რომლის დასაფინანსებლად 400 მილიონი დოლარი თვით ზურაბ წერეთელმა გაიღო, დასრულებულია, თუმცა მის სრულყოფილად ფუნქციონირებას ხელს ერთი გარემოება უშლის.

უკვე თითქმის ათი წელიწადია ბატონი ზურაბი ითხოვს, რომ ის ტერიტორია, სადაც მემორიალური კომპლექსია განთავსებული, კომპლექსს დაუკანონდეს.

ეს აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ მემორიალი საიმედოდ იყოს დაცული (ძეგლის ხელყოფის ვანდალური ფაქტები უკვე რამდენჯერმე დაფიქსირდა), ხელი შეეწყოს ძეგლის მუზეუმად განვითარებას, ექსპოზიციის ზონის გაშლას, სამუზეუმო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებას.

ბატონმა ზურაბმა ჯერ კიდევ 2007 წლის ივნისში მიმართა საქართველოს იმჟამინდელ მთავრობას ზემოთნახსენები თხოვნით, თუმცა საკითხი დღემდე არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან.

ძალიან სამწუხარო და დასაფიქრებელი ფაქტია, რომელსაც ძნელია ახსნა მოუძებნო.

ეს უნიკალური კომპლექსი დიდი ხანია შეიყვარა ქართველმა ხალხმა.

ის არ ეკუთვნის მხოლოდ ზურაბ წერეთელს, ის მთელი საქართველოს საკუთრებაა, მისი ისტორიის ერთგვარი განძთსაცავია და, ამდენად, სრულიად გაუგებარია, რა აბრკოლებს და რა უშლის ხელს იმ ერთადერთი სწორი და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, რომელითაც ამ დიდებულ კომპლექსს არსებობა და საიცოცხლე უნდა შეუნარჩუნდეს.

ზურაბ წერეთელს კი არა საქართველოს და ქართველ ხალხს ნუ დავაყვედრებთ და ნუ დავამადლით იმ რამდენიმე ჰექტარ მიწას, რომელზეც ბრინჯაოში ამეტყველებული საქართველოს ისტორიის ეს ბრწყინვალე ძეგლი დგას.

„საერთო გაზეთი“ საკითხის გარშემო საუბარს მომდევნო ნომრებშიც გააგრძლებს.

„საერთო გაზეთი“

ჩვენ არ ვართ საქართველოს მტრები, გაგვაგებინონ, რა დავაშავეთ!

თურქეთის სახელმწიფო არც ჩვენი მუდმივი მტერია და არც ჩვენი მუდმივი მეგობარი. თურქეთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა.

თურქეთში საქართველოდან წასული უამრავი ჩვენი თანამოქალაქე ცხოვრობს, როგორც ქართველები, ისე არაქართველები.

თურქეთში ცხოვრობენ საქართველოდან სხვადასხვა დროს გადმოსახლებული აზერბაიჯანელები, რომელთა ნაწილი ყარაფაფახ-თურქებს, ანუ შავქუდიანებს ეძახიან საკუთარ თავს.

ყარაფაფახ-თურქებს თურქეთში უზარმაზარი დიასპორა აქვთ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულ შავქუდიანებთან მჭიდრო კავშირების დამყარებას ცდილობენ.

წლეულს ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულზე თურქეთიდან ყარაფაფახ-თურქთა ფართო წარმომადგენლობა იყო ჩამოსული, დაგეგმეს საინტერესო ღონისძიებები და პროექტები. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, საქველმოქმედო აქციებსაც აპირებდნენ, თუმცა მათგან 6 ბიზნესმენს, გაურკვეველი მიზეზებით, საქართველოში შემოსვლა აეკრძალა.

ჩვენ სტამბულსა და ბურსაში შევხვდით პერსონა ნონ-გრატად გამოცხადებულ იმ 6 ადამიანს და ყარაფაფახის-თურქთა მსოფლიო გაერთიანების სხვა წევრებსაც, მათ შორის ყარაფაფახელ სტუმრებს მაკედონიიდან. გთავაზობთ საუბრების ჩანაწერებს:

სეიფულ თურქსოი, ყარაფაფახ — თურქთა მსოფლიო გაერთიანების თავმჯდომარე:

— მინდა ჩემზე და ჩემს საქმიანობაზე მოგიყვეთ. 33 წელიწადია, ჟურნალისტი ვარ. დღევანდელი პრეზიდენტის რეჯეფ ტაიპ ერდოღანის მხარდამჭერი ვიყავი ჯერ კიდევ მისი არჩევნების პერიოდში, ვიცოდი, რომ ის თურქეთს აყვავების გზით წაიყვანდა.

დღესდღეობით ყარაფაფახ-თურქთა ორგანიზაციასთან ერთად „აბრეშუმის გზის“ საზოგადოებას ვხელმძღვანელობ. ჩვენი ორგანიზაციის სახელით საქართველოშიც ხშირად დავდიოდი და თურქულ ტელევიზიებსა და მედიის სხვა

სეიფულ თურქსოი

საშუალებებში ყველგან საქართველო-თურქეთის მეგობრულ ურთიერთობებზე ვლაპარაკობდი.

ვიცი, რომ საქართველოში ბევრი ყარაფაფახი-თურქი ცხოვრობს, ჩემი წინაპრებიც საქართველოდან იყვნენ. ჩემი პაპის მამა საქართველოში ცხოვრობდა.

— **საერთოდ, რატომ გახდა საჭირო ყარაფაფახ-თურქთა ორგანიზაციის შექმნა და რას ემსახურება ეს ორგანიზაცია?**

— ჩვენ გვინდა, მთელ მსოფლიოში გაფანტულ ყარაფაფახ-თურქებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობები ჩამოვაყალიბოთ, ტრადიციების შენარჩუნება, ფოლკლორული ხელოვნების მოძიება და გაღვივებაა ჩვენი მიზანი.

პოლიტიკა ჩვენი საქმე არაა. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით.

ყარაფაფახელები თურქეთის 44 ქალაქში ცხოვრობენ. მსოფლიოში კი აშშ-ში, შუა აზიის ქვეყნებში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

დღეს თურქეთი დემოკრატიული ქვეყანაა. ჩვენთან ბევრია ჩრდილო კავკასიელი, აზერბაიჯანელი, შუა აზიის ქვეყნების ძველი მკვიდრნი. ჩვენს ქვეყანაში მათ დღეს აქვთ თავიანთი საზოგადოებები და გაერთიანებული ჯგუფები, ასეთივე ორგანიზაციაა ყარაფაფახ-თურქთა გაერთიანებაც, რომელსაც სურს თავის ორგანიზაციაში გააერთიანოს საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში მყოფი ყარაფაფახელი თურქები, დაიცვას მათი კულტურა, ტრადიციები და ისტორია.

ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული საქმიანი ხალხი, ბიზნესმენები, საზოგადო მოღვაწეები ცდილობენ, სხვადასხვა ქვეყნებში მყოფ ყარაფაფახელ თურქებს ეკონომიკური და მატერიალური დახმარება გაუწიონ ქველმოქმედების სახით. ჩვენ არც ერთი ქვეყნის და ცხადია, არც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ჩავრეულვართ და არც აწი ვაპირებთ ჩარევას. ჩვენ საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად ვცნობთ. თურქეთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. იგი დღემდე ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკური ხაზის მომხრე ვართ და გვსურს კეთილმეზობლური ურთიერთობა საქართველოსთან, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანასთან.

ჩვენ, ყარაფაფახ-თურქთა გაერთიანების წევრები, ადამიანები, რომლებმაც თურქეთში წარმატებული ბიზნესსაქმიანობა ჩამოვაყალიბეთ, ვდცილობთ ჰუმანიტარული დახმარება გავუწიოთ ქვემო ქართლის ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობას.

ერკან კოჩალი, წარმოშობით ბოლნისის რაიონიდან, ბიზნესმენი, მსხვილი სამშენებლო კომპანიის დირექტორი სტამბოლსა და ბურსაში:

— უკვე ორი წელიწადია, რაც საქართველოში ჰუმანიტარულ და საქველმოქმედო ღონისძიებებს ვახორციელებთ, 10-მდე ღონისძიება ჩავატარეთ, კონცერტები აშუღების მონაწილეობით, სახალხო ზეიმები.

თურქეთში ჩვენ საქართველოს დიასპორის წარმომადგენლებად ვთვლით თავს, რადგან ჩვენი წინაპრები საქართველოდან იყვნენ. ჩვენი ნათესავები, ყარაფაფახი თურქები საქართველოში დღესაც ცხოვრობენ. ისინი ჩვენი ნათესავები არიან. ვცდილობდით დღესასწაულებზე ან სხვა ტიპის ღონისძიებებზე შევხვედროდით ერთმანეთს, გაგვეწია ჩვენი თანამოძმეებისთვის მატერიალური დახმარება.

რამდენიმე ღონისძიებაში კიდევაც მივიღეთ მონაწილეობა.

ქვემო ქართლის გუბერნატორმა შესანიშნავი მიღება მოგვიწყო. გავაფორმეთ ერთობლივი მემორანდუმი ქვემო ქართლსა და ჩვენს ორგანიზაციას შორის კულტურულ-მეგობრული ურთიერთობების დასამყარებლად. მემორანდუმი ითვალისწინებდა თურქეთში საქართველოს დღეების ჩატარების ღონისძიებას, ასევე თურქული დღეების მოწყობას საქართველოში. გვსურდა ხაზი გაგვესვა, რა მიღწევები გააჩნდა ქართულ-თურქულ ურთიერთობებში ენერგეტიკის კუთხით, სავაჭრო, მრეწველობის მხრივ, კულტურის თვალსაზრისით, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ. ამით გვსურდა საქმიანი ადამიანები ჩაგვება კულტურულ-საქველმოქმედო საქიმაინობაში. ამ საკითხზე სიმპოზიუმის ჩატარებასაც ვგეგმავდით.

როცა ჩვენ ქვემო ქართლის ხელმძღვანელობას შევთავაზეთ ჰუმანიტარული დახმარების რა ფორმა იქნებოდა საჭირო და აუცილებელი რეგიონის მოსახლეობისთვის, მათ გვითხრეს, რომ სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იქნებოდა ყველაზე ხელსაყრელი. ჩვენ მივიჩნიეთ, რომ რეგიონში არსებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდ ნაწილს მუსულმანური წესით ნათლობის საშუალებაც არ ექნებოდა და თურქეთიდან სპეციალისტები წავიყვანეთ, რათა მოენათლათ იქაური ბავშვები. 400 ბავშვი მოინათლა მაშინ. ერთი ტრაილერი ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც გაიგზავნა საქართველოში. ეს აქცია ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულს დავამთხვიეთ.

ქალაქ რუსთავში ყველაზე ცოტა ყარაფაფახი-თურქი ცხოვრობს, თუმცა ყველაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება სწორედ

ერკან კოჩალი

რუსთავის მოსახლეობამ მიიღო.

ორგანიზაცია „TIKA“-ს (თურქეთის საქმიანი ადამიანების გაერთიანება) გუბერნიის ხელმძღვანელებთან ერთად საბაჟოზე პრობლემები შეექმნა, თუმცა ტვირთი გადმოვიტანეთ, მაგრამ სრულად არა. მერე შეგვექმნა საქართველოში გადმოსვლის პრობლემა. ჩვენს ორგანიზაციაში 150-მდე ბიზნესმენია გაერთიანებული, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ გაჭირვებულ ადამიანებს, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, შეიქმნა პრობლემა, რის გამოც ორგანიზაციის ექვს აქტიურ წევრს საქართველოში შემოსვლის უფლება აეკრძალა.

— **მიზეზი?**

— ამის შესახებ არაფერი ვიცით. თვითონ მეც, ორგანიზაციის ხელმძღვანელს და კიდევ 5 პირს საქართველოში შემოსვლის უფლება აღეკვეთა.

საქართველოს წარმომადგენელს ჩავაბარეთ ჰუმანიტარული ტვირთი ნოვრუზ-ბაირამის დღეებში, წამოვედით თურქეთში და როცა კვლავ საქართველოში ჩამოსვლა დავაპირე, აღარ შემომიშვეს.

— **ტვირთი რომელიმე ორგანიზაციის სახელით შემოგქონდათ?**

— საქონელი მთლიანად **მაია რაჯაბოვას** სახელზე გავაფორმეთ. ის იყო ქვემო ქართლში ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 150 ადამიანი იყო ჩასული ჩვენი ორგანიზაციიდან საქართველოში სხვადასხვა დროს, 6 ადამიანს შეექმნა პრობლემა მაია რაჯაბოვასთან და სწორედ იმ 6 ადამიანს აეკრძალა საქართველოში ჩამოსვლა.

300 000 დოლარის ჰუმანიტარული დახმარება რომ გადაირიცხა კულტურული ორგანი-

ზაცია „სალამის“ თავმჯდომარის მაია რაჯაბოვას სახელზე, მას შემდეგ რაჯაბოვასა და ჩვენი ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

— კერძოდ, რა საკითხზე წარმოიშვა კონფლიქტი?

სეფულ თურძსოი: — ჩვენ მოვითხოვეთ დოკუმენტაცია, როგორ გადანაწილდა ჰუმანიტარული ტვირთი. მაია რაჯაბოვამ ყალბი პასპორტები წარმოგვიდგინა და სხვა ყალბი დოკუმენტაცია გვაჩვენა. ვინც წინააღმდეგობა გავუწიეთ და დოკუმენტაცია მოვთხოვეთ, ყველა დავიბლოკეთ. ყველას შეგვეზღუდა საქართველოში ჩამოსვლა.

100%-იანი ეჭვი გვაქვს, მაია და მისი მეუღლე თბილისსა და მის შემოგარენში არსებულ სავაჭრო ბაზრობებზე ჩვენს მიერ გამოგზავნილ ჰუმანიტარულ საქონელს ყიდიან.

როგორც გითხარით, ჩვენ არ ვაპირებდით მხოლოდ ჰუმანიტარული აქციებით შემოვფარგლულიყავით. ჩვენ გვინდოდა ჩაგვეტარებინა სიმპოზიუმები და ფორუმები, ახალი ბიზნესურთიერთობების დაგეგმვის თვალსაზრისით, მეცნიერების, კულტურის გაცვლის კუთხით.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით სიმპოზიუმი ჩავატარეთ ანკარაში, სადაც ამ ქვეყნების 40-მდე დეპუტატი მონაწილეობდა. მე იქაც აღვნიშნე, თურქული, აზერბაიჯანული და ქართული ბიზნესურთიერთობები უფრო უნდა გაღრმავდეს-მეთქი. იმ ფორუმზე ჩვენ დავაყენეთ საკითხი — შაჰდენიზიდან წამოსული გაზი საქართველოს გავლით გასულიყო მსოფლიო ბაზარზე.

ჰიქმეთ კარაბოკა, ბიზნესმენი: ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ თქვენს ქვეყანას. ახლახან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა რომ განხორციელდა თურქეთში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო პირველი, ვინც ეწვია თურქეთს და მხარში დგომა აღგვითქვა.

ამას წინათ ყარსში გამოსვლისას კიდევაც ვთქვი, ქართულ-აზერბაიჯანულ-თურქულ ურთიერთობებში ძალიან კარგია ეკონომიკური პარტნიორობა და ერთობლივი ბიზნესპროექტები, მაგრამ აუცილებელია კულტურული ღონისძიებები. ჩვენ, ყარაფაფახი-თურქები, ამ სამი ქვეყნის ურთიერთობებში ჩვენს სიტყვას ვიტყვით-მეთქი.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს კეთილდღეობა და განვითარება, რადგან იქ ჩვენი თანამოძმე ყარაფაფახელები ცხოვრობენ და მათი ცხოვრების გაუმჯობესებაც შედის ჩვენს ინტერესებში.

— მას შემდეგ, რაც 6 პირი პერსონა ნონ-გრატად გამოცხადდა საქართველოში და მიზეზების შესახებ არაფერი იცით, არ მიმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, გაეცათ პასუხი საქართველოში თქვენი შემოსვლის აკრძალვის შესახებ განმარტების თაობაზე?

— ჩვენ მივმართეთ თურქეთის ელჩს საქართველოში, ასევე საქართველოს ელჩს ანკარაში.

არ ვიცით, რაში გვდებენ ბრალს, დაგვიდონ თუნდაც ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ჩვენ საქართველოს წინააღმდეგ რაიმე სახის გამოსვლა ან მოქმედება განვახორციელეთ და დავიჯერებთ, რომ ჩვენ ნამდვილად ვართ საქართველოში შემოსვლის აკრძალვის ღირსი.

წლევანდელ ელაგ-ბაირამის დღესასწაულზე ვიღაცებმა პროვოკაცია მოაწყვეს. როცა გავიგეთ, რომ მსგავსი რამ ხდებოდა, გამოვეყავით საერთო ჯგუფს, ხელისუფლების გვერდით დავდექით.

— პროვოკაციაზე გამახსენდა, თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ ბორჩალოში, როგორც ამბობენ, სეპარატისტული ჯგუფები ავტონომიას ითხოვენ. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

სეიფულ თურქსოი: — ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგი ვართ. ჩემ სამუშაო კაბინეტში თურქული დროშის გვერდით ქართული დროშა ჰკიდია. ზოგიერთები მეხუმრებიან კიდევაც, საქართველოზე გაყიდული ხარო. როგორ შეიძლება ასეთი რამის მომხრე ვიყო? მე, ისევე, როგორც თურქეთის ხელისუფლება, პატივს ვცემ საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

ჩვენ გვინდა, ქართულმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ არა ვართ მტრები, არა ვართ ქართული სახელმწიფოს მოწინააღმდეგეები, გაუგებრობას აქვს ადგილი და იმედი გვაქვს, ყველაფერი გაირკვევა. ჩვენ მზად ვართ, საქართველოს აღორძინებაში აქტიურად ჩავერთოთ, თურქეთში საქართველოდან წამოსულთა დიასპორის სახელით. გვსურს დავეხმაროთ საქართველოს ტურისტული, ენერგეტიკული, ეკონომიკური კუთხით ჩვენი კავშირებისა და შესაძლებლობების გამოყენებით.

საქართველო მამაჩემის დაბადების ადგილია, როგორ შეიძლება არ მიყვარდეს და მისთვის სიკეთე არ მინდოდეს?! მე ძალიან დიდი შესაძლებლობები მქონდა და მაქვს სხვა კუთხით ვიმოღვაწეო თურქეთში, მაგრამ, რასაც ვაკეთებ, საქართველოს სიყვარულით ვაკეთებ, მინდა იცოდეს ეს ქართველმა საზოგადოებამ.

ვთხოვ საქართველოს ხელისუფლებას — თუ რაიმე დანაშაული მიმიძღვის საქართველოს წინაშე მითხრან, თუ არადა, აგვიხსნან, რატომ გვიკეტავენ კარს და არ გვიშვებენ საქართველოში მე და ჩემს 5 მეგობარს! კიდევ ვიმეორებ — ჩვენ ვართ ქართველი ხალხისა და საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი ადამიანები!

მე ჟურნალისტი გახლავართ. შემიძლია გამოვიდე თურქეთის ყველა ტელეარხით, შევხვდე ბი-ბი-სი-სა და სი-ენ-ენ-ის ჟურნალისტებს და მოვუყვე, რა მოხდა საქართველოში. რა მოჰყვება ამას, მგონი, წარმოგიდგენიათ. როგორ გაუტყდება სახელი საქართველოს, როგორ დაეჭვდებიან ბიზნესმენები, როგორ შეწყვეტენ კონტრაქტებს ან მომავლის პერქაპექტივებს გააუქმებენ. არ მინდა ეს გავაკეთო. ნუ მაიძულებენ ამას.

მოჰსინ კაჩმაზი

მოჰსინ კაჩმაზი, წარმოშობით მარნეულის რ-ნის სოფელ ყიზილაჯლოდან, ყარაფაფახ-თურქთა მსოფლიო ორგანიზაციის გამგეობის წევრი, ბიზნესმენი, ავტომობილების აქსესუარების ქარხნის დირექტორი:

— ჩემი წინაპრები საქართველოდან იყვნენ, მათი ხსოვნის პატივსაცემად, საქართველოს სიყვარულით ვაკეთებ ყველაფერს, არ მინდა ჩემში გაფერმკრთალდეს ეს განცდა. არ ვიცი, რას მერჩის საქართველოს ხელისუფლება, რატომ არ მიშვებენ საქართველოში?!

წარმოშობით საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელების შთამომავალი ვარ. ჩემი ქარხნის შესასვლელში საქართველოს დროშა მიკიდია. მიყვარს საქართველო. საქართველომ კი მტრად გამომაცხადა. მე ვამაყობდი იმით, რომ ბაბუაჩემი საქართველოში იყო დაბადებული.

1989 წლიდან თქვენს ქვეყანაში დავდივარ და ბიზნესაქმიანობას ვეწევი. ახლა აღმოვჩნდი საშიში საქართველოსთვის?

წლეულს „დმანისობაზე“ ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულზე ვიყავი, ინტერვიუც მივეცი აზერბაიჯანის ტელევიზიებს, სადაც ვთქვი, რომ საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის მეგობრობა უფრო მჭიდრო უნდა გახდეს-მეთქი. ასე ვფიქრობდი ყოველთვის, ასე მიმაჩნია ახლაც.

თქვენ ჟურნალისტები მეოთხე ხელისუფლება ხართ, გაარკვიეთ ეს საქმე. თუ დამნაშავე ვარ, დავისაჯო.

ჩემი წინაპრების დაბადების ადგილის, იგივე ჩემი სამშობლოს წინააღმდეგ გამოვალ? როგორ გგონიათ? ბაბუაჩემს პირადობის დოკუმენტში ეწერა 1924 წელი, დაბადების ადგილი თბილისი. საქართველო ჩემი სამშობლოა.

მე სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელი და მხარდამჭერი ვარ თურქეთში და საქართველოს წინააღმდეგ ვიმოქმედებ? როგორ შეიძლება ეს ადამიანმა საერთოდ იფიქროს.

ჩვენ არა ვართ 100 და 1000, ჩვენ ვართ 60 000. ამ 60 000 ადამიანის რესურსი, ბიზნესსაქმიანობა რომ არ გამოიყენო, ეს უგუნურებაა.

* * *

პრობლემა, რომელზეც გულისტკივილით ისაუბრეს ჩვენმა რესპონდენტებმა, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების საქმე და პრეროგატივაა, მაგრამ, ამ ადამიანების ასე უსიტყვოდ და ხელაღებით, პერსონა ნონ-გრატად გამოცხადება იმის გარდა, რომ საქართველოს სახელს სერიოზულად დააზარალებს რეგიონში, ინვესტორებსაც დაუფრთხობს და მათ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენთან ინვესტიციების განხორციელების სურვილსაც კი დაუკარგავს. ამაზე კი, მგონი, ღირს დაფიქრება.

თუნდაც ამ კონკრეტულ საქმეზე ნათელი პასუხის გაცემა ისევ ჩვენი ქვეყნის მომავლისა და პრესტიჟისთვის არის აუცილებელი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18
სტამბული-ბურსა-თბილისი

სამსონ სამჭკუაშვილის ბლოგი

ბანანი, პრეზერვატივი და ვაშლი დესერტად

როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარი, როცა სკოლებში ბავშვებს ვაშლს ურიგებენ.

ერთი ზომის, ერთი წინის, გარეცხილ-გასუფთავებული ვაშლები თვალსა და გულს ახარებს და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ განათლების სფეროს რეფორმა სწორ გზაზე დგას.

ვაშლნაჭამი ბავშვი, ცხადია, უფრო ადვილად შეითვისებს საგნებს და, აქედან გამომდინარე, მათი აკადემიური მოსწრების დონეც მკვეთრად ამაღლდება.

ასე რომ ვაშლის სკოლებში შეტანა – ეს არის პირდაპირი გზა მეცნიერების მაღალი მწვერვალების დასაპყრობად.

აბა, ის იყო საქმე, „ნაციონალების“ დროს ბანანი და პრეზერვატივი რომ შეჰქონდათ სკოლებში და ზედ სექსის სახელმძღვანელოს რომ ამატებდნენ?

ამ ინტერნეტსატიებით გაცუღლუტებულ ბავშვებს სექსის სახელმძღვანელო რაში სჭირდებოდათ – ისედაც მშვენივრად ხვდებოდნენ, სად „უნამიოკებდნენ“ მათი განმანათლებლები.

ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ ბანანზე პრეზერვატივის წამოცმით ხელი გაევარჯიშებინათ, ბანანს ჭამდნენ, ხოლო პრეზერვატივს თავისი პირდაპირი დანიშნულებისთვის იყენებდნენ.

ამიტომაც იყო, „ნაცების“ დროს განათლების საქმე წინ რომ ვერ წავიდა.

აი, ვაშლი კი სულ სხვა რამ არის...

მართალია, განათლების სისტემაში კატასტროფული სიტუაციაა და მოსწავლეები კი არა, მასწავლებლებიც ვერ აკმაყოფილებენ ცოდნის მინიმალურ დონეს, მაგრამ ეგ არაფერი – შეჭამენ ვაშლს და ყველაფერი ერთბაშად გამოსწორდება.

ვაშლი ვაშლად, მაგრამ ვირის ტვინსაც ხომ არ გვაჭმევდა ვიღაც ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში, განათლების სისტემის რეფორმირების სახელით განათლების სისტემა პირწმინდად რომ დავანგრიეთ და შედეგად მივიღეთ წერა-კითხვის უცოდინარი მოსწავლეები, წერა-კითხვის უცოდინარი სტუდენტები, წერა-კითხვის უცოდინარი პედაგოგ-მასწავლებლები, ანუ უწიგნური, გაუნათლებელი ერი, რომელსაც, შეიძლება სურვილი ჰქონდეს, მაგრამ ცოდნა და კვალიფიკაცია არ ეყოფა, თავის ქვეყანას უპატრონოს და მოუაროს.

მე რომ სამჭკუაშვილი არ ვიყო, ალბათ, დავიჯერებდი, რომ ეს უბედურება, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, თავისით მოხდა და არა ვიღაცის მზაკვრული განზრახვის და გეგმის გამო.

ქვეყანა, რომელსაც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები და მეცნიერები ჰყავდა ყველა დარგში, ქვეყანა რომლის შვილები ყოველთვის გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ნიჭიერებით, დღეს ისე როგორ გამოლენჩდა და გამოთაყვანდა გონებრივად, რომ სასკოლო პროგრამების დაძლევაც კი უჭირს?

იქნებ, სპეციალურად, მიზანმიმართულად გაკეთდა და კეთდება ეს ყველაფერი, რომ არაკვალიფიციურ, არაკომპეტენტურ, არაკონკურენტუნარიან ერად ვიქცეთ, პირისფარეშების, ოფიციანტების, სასტუმროს მომსახურე პერსონალის, სექსმუშაკების „მწარმოებელ“ ერად, რომელიც სხვებს უნდა მოემსახუროს, თვითონ კი, თავისი არაკვალიფიციურობის გამო, ფასეული და ღირებული ვერაფერი შექმნას თავისი ქვეყნისთვის.

ერთმა ღირსეულმა და პატრიოტმა ქართველმა გამიმხილა, რა უთხრა მას ქართული ღვინით შეზარხოშებულმა ერთ-ერთი დიდი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენელმა პრივატულ საუბარში:

– რა გინდათ ამ ქართველებს, რას ხტუნაობთ? რას აგიჩემებიათ, განათლება გვინდა, მრეწველობის აღორძინება გვინდა, ეკონომიკის განვითარება გვინდაო. ტანსაცმელი გჭირდებათ? შემოგიტანთ! საჭმელი გინდათ? – შემოგიტანთ! საყოფაცხოვრებო ტექნიკა გინდათ? – შემოგიტან თ. ავტომანქანები გინდათ? – შემოგიყვანთ! ძალიან ნიჭიერ და გამორჩეულ ბავშვებს ჩვენ წავიყვანთ, განათლებას მივცემთ, ჩვენთან დავასაქმებთ. თქვენ უნდა იყოთ მოსამსახურე ერი, სხვა პრეტენზია ნუ გექნებათ. რამდენიც არ უნდა ეცადოთ, მაინც ვერავის გაუწევთ კონკურენციას.

ეს საუბარი თითქმის ოცი წლის წინათ შედგა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაფერი იმ გეგმის მიხედვით წავიდა, რაც იმ შეზარხოშებულმა ფინანსისტმა, ნებსით თუ უნებლიეთ, გაამხილა.

სამჭკუაშვილობა სულაც არ სჭირდება იმის მიხვედრას, რაც ახლა გვჭირს და რაც მომავალში მოგველის.

სიმართლე გითხრათ, ამ სამჭკუაშვილობით ძალიან გავწვალდი და დავიღალე.

სამჭკუაშვილობას არ სჯობდა, ცალკჭუაშვილი ვყოფილიყავი? მაშინ ხომ მაინც ვერ მივხვდებოდი ვერაფერს და სხვებივით ჰარიჰარალესა და დიმპიტაურში გავატარებდი ცხოვრებას?!.

უცნობები

ამასწინათ ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა შემომჩივლა – 70 წლის კაცი ვარ, მთელი ცხოვრება ჩემს ქვეყანას ვემსახურე და საზოგადოება კარგად მიცნობს. უამრავი პუბლიკაცია, უამრავი წიგნი მაქვს გამოქვეყნებული, პროფესორი ვარ, უნივერსიტეტში ვასწავლი. ასე რომ, ასე თუ ისე, წიგნიერ კაცს, რომელიც პრესას კითხულობს, ტელევიზორს უყურებს თუ რადიოს უსმენს, არ შეიძლება ჩემი სახელი და გვარი არ გაეგონოს.

ორიოდე თვის წინათ, რაღაც საყოფაცხოვრებო საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელთან მომიწია მისვლა.

დამხვდა ახალგაზრდა კაცი, ასე, 32–35 წლის ასაკისა.

კომპიუტერის ეკრანს მიჩჩინებულ ახალგაზრდას თავი არც აუწევია, ისე მკითხა:

– რა გნებავთ?

ამა და ამ საკითხის გამო გაწუხებთ, მე ესა და ეს კაცი ვარ და იქნებ, დამეხმაროთ-მეთქი.

ჩემი სახელისა და გვარის გაგონებაზე არავითარი რეაგირება არ ჰქონია.

მივხვდი, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ ვიყავი.

არადა, წესით და რიგით, უნდა სცოდნოდა, რადგან საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრება მივუძღვენი, სწორედ იმ დარგს მიეკუთვნება, რომელსაც ახლა ეს ყმაწვილი ხელმძღვანელობს.

გავბრაზდი.

– თქვენ ჩემი სახელი და გვარი არაფერს გეუბნებათ? – ვკითხე.

– არა, ბატონო, პირველად მესმისო, – უკმეხად მომიგო ახალგაზრდამ და ისევ კომპიუტერის ეკრანს მიაშტერდა.

– არაფერი არ მინდა თქვენგან, კარგად იყავით-მეთქი, – ვუთხარი და წამოვედი.

იცი, რა მეწყინა? ის კი არა, მე რომ ვერ მიცნო, არამედ ის, რომ ამ ახალგაზრდა კაცმა, რომელიც საკმაოდ სერიოზულ სტრუქტურას თავკაცობს, არაფერი არ იცის, არაფერს არ კითხულობს, არაფერი არ აინტერესებს, როგორც იტყვიან, არაფრის საქმის კურსში არ არის.

ის არ იცნობს თავის ქვეყანას, არ იცნობს მის მოქალაქეებს, არ იცის, ვის რა ღვაწლი აქვს ამ ქვეყნის წინაშე.

ეს მხოლოდ კონკრეტულად ერთ ახალგაზრდას რომ ეხებოდეს, რა გვიჭირდა, მაგრამ თითქმის უმრავლესობა ასეთია.

ისინი ჩვენ, უფროს და საშუალო თაობას, არ გვიცნობენ, სამაგიეროდ, არც ჩვენ ვიცნობთ მათ, რადგან მათ ბიოგრაფია არ აქვთ და ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებიათ ისეთი, რის გამოც უნდა ვიცნობდეთ.

ჰოდა, ვართ ასე – ისინი გაღმა, ჩვენ გამოღმა და შუაში შავი მდინარე ჩამოგვიდის, ჩემო ბატონო სამსონ.

... ვერაფრით ვანუგეშე ჩემი ძველი ნაცნობი. წავიდა დადარდიანებული და დანაღვლიანებული.

იმისთვის რა უნდა მეთქვა, მეც ხომ იქიდან ვარ, „ჩარეცხილების“ თაობიდან და არც ჩემი სამჭკუაშვილობა აინტერესებს ვინმეს და არც ის, ამ ჩემი 180-ლარიანი პენსიით როგორ მიდგას სული და როგორ და რანაირად ვცოცხლობ აქამდე...

URSULA

წინასწარმეტყველება უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ ადამიანებს. შესაბამისად უხსოვარი დროიდან არსებობდნენ წინასწარმეტყველებიც. შუა საუკუნეებში მათ დევნიდნენ და ხშირ შემთხვევაში კოცონზეც წვავდნენ, ამიტომ ჩვენამდე ბევრმა ჩანაწერმა ვერ მოაღწია.

ინგლისელ წინასწარმეტყველად ცნობილი ურსულა სუტაელი, იგივე დედა შიტონი. 1488 წელს დაიბადა იორკშირში, ჩრდილოეთ ინგლისის ყველაზე დიდი საგრაფოს ერთ-ერთ გამოქვაბულში. (გამოქვაბული დღეს დედა შიტონის სახელს ატარებს და უამრავი ტურისტი სტუმრობს) გადმოცემის თანახმად ურსულას დედა, ეშმაკისგან გახლდათ ფეხმძიმედ და მშობიარობამაც საშინელი ჭექაქუხილის აკომპანიმენტით და საშინელი გოგირდის სურნელით ჩაიარა. ურსულა, საოცრად მახინჯი დაბადებულა, ძვალმსხვილი, უშველებელი თავით, წვეტიანი, ფერადი, გრძელი ცხვირით, მხეცის მანათობელი თვალებით... დედამისის და ეშმაკის ურთიერთობის შესახებ ეჭვი მაშინ გაღრმავებულა როდესაც ორი წლის ბავშვი დედას მიუტოვებია და მონასტრისთვის შეუფარებია ცოდვილი სული...ურსულას წინასწარმეტყველების ნიჭი ბავშვობიდან აღმოჩენია და სახელიც გაუთქვამს. (სავარაუდოდ მას „მონუსხვის“ნიჭიც ქონდა რადგან 24-წლის ასაკში მჭედელტობი შიტონს ცოლად გაყოლია თუმცა შვილები არ შეძენია) მას სტუმრობდნენ როგორც უბრალო ადამიანები ასევე კარდინალი და თვით მეფე ჰენრი მერვეც. ეს უკანასკნელი, ბევრჯერ დარწმუნებულა ურსულას წინასწარმეტყველების სიზუსტეში. მეფეს და პაპს შორის განხეთქილება სწორედ ურსულამ იწინასწარმეტყველა- ჰენრი VIII- თავიდან პაპის მხარდამჭერი იყო. თუმცა 1534 წელს მან პროტესტი გამოთქვა პაპის მიმართ. ინგლისის მმართველმა წრეებმა, მხარი დაუჭირეს ჰენრის დაპირისპირებას რომის პაპთან. ინგლისის პარლამენტმა გამოსცა აქტი, რომლის ძალითაც ჰენრი გახდა ინგლისური ეკლესიის უზენაესი მეთაური. ურსულამ იწინასწარმეტყველა ელისაბედის მეფობის პერიოდში ესპანური არმადის დამარცხება. სწორედ ინგლისსა და ესპანეთს შორის მიდიოდა ბრძოლა პირველობისთვის. ამ პერიოდში იწყება ინგლისის როგორც კოლონიური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი. ინგლისის მიერ ამერიკის კონტინენტზე დაარსებული პირველი კოლონია იყო ვირჯინია. 1603 წელს დედოფალ ელისაბედ I-ის გარდაცვალების შემდეგ ტიუდორებს უშუალო მემკვიდრე არ დარჩენიათ. ინგლისის ტახტი დაიკავა ტიუდორების ნათესავმა, შოტლანდიის მეფე ჯეიმზ I სტიუარტმა... აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შორეული მომავლის წინასწარმეტყველება, საუკუნეების მიხედვით ურსულას ლექსების სახით დაუწერია და მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან ოთხმოცი წლის შემდგომ, გამხდარა ცნობილი. მის წინასწარმეტყველებას ეკუთვნის ლონდონის დიდი ხანძარი 1666 წელს! აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დედა შიტონი ბევრად ნაკლებად გახლდათ ცნობილი ვიდრე ნოსტრადამუსი, თუმცა სპეციალისტების დასკვნით, ურსულას წინასწარმეტყველებები ბევრად ზუსტად ახდა. აი მისი წინასწარმეტყველებების ნაწილი:

1. მოვა დრო როცა ქალები კაცებივით ჩაიცვამენ, მოიჭრიან გრძელ თმებს და იქროლებენ რკინის მანქანებით როგორც ჯადოქრები ცოცხებით.

2. დედამიწის გარშემო კაცის ფიქრები თვალის დახამხამებაში იფრენს, ივლიან ეტლები ცხენების გარეშე (ინტერნეტი და მანქანები?) სწორედ მაშინ მოახლოვდება კატასტროფის დრო.

3. სიყვარული მოკვდება, ქორწინებები იკლებს, შობადობა შემცირდება (რაც დღეს ევროპაში ხდება).

4. ნიშნები მაშინ გამოჩნდება როცა ადამიანები ფიქრს შეწყვეტენ და მათ ნაცვლად საქმეს რკინის მანქანები გააკეთებენ ისინი იფიქრებენ მხოლოდ იმაზე თუ როგორ მოიხვეჭონ ქონება.

5. მეფეები ილაპარაკებენ მხოლოდ ლაპარაკისთვის, იტყვიან მხოლოდ ტყუილებს, გადასახადები იმატებს და ცხოვრების დონე იკლებს. ქვეყნები დაიწყებენ საშინელი ომების დაგეგმვას ისეთის რომელიც ჯერ არ მომხდარა. დაძაბულობა ერებს შორის პიკს მიაღწევს.

6. ყველაზე დიდი ნიშანი ბოლო საუკუნის სამი ვულკანის გაღვიძება იქნება რომელებიც ყინულს და სიკვდილს ამოანთხევენ, მიწისძვრები ქალაქებს მიყოლებით ჩაყლაპავს, ქრისტიანები ერთმანეთის ხოცვას დაიწყებენ და ამ დროს ყვითელი ხალხი ძალაუფლებას მოიპოვებენ დიდი დათვისგან რომელსაც დაუკავშირდებიან.

7. მათი გეგმა მსოფლიოს ორად გასაყოფად ჩაიშლება მაგრამ ამას ბევრი შეეწირება და გავრცელდება ეპიდემიები.

8. როცა სურათები ისე იმოძრავებს თითქოს ნამდვილია, როცა გემები წყალქვეშ თავისუფლად იცურებენ და როცა ადამიანები ცაში ჩიტებივით იფრენენ მაშინ მოვა დრო როცა ნახევარ მსოფლიოს სისხლში მოუწევს ჩახრჩობა.

9. როცა მბრწყინავი დრაკონი ცის კიდეს ექვსჯერ გადასერავს მაშინ უნდა მოკვდეს დედამიწა და ადამიანები შიშით დაელოდებიან ამას (აქ გულისხმობს კომეტებს, რომლებიც ნახსენებია ბიბლიაში და ნოსტრადამუსის ნაწერებშიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში უკვე გამოჩნდა 4 კომეტა).

10. როცა საბოლოოდ ასტეროიდი ჩამოვარდება ოკეანეში, ნგრევა გაგრძელდება 7 დღე-ღამეს.

წინასწარმეტყველების ბოლო ნაწილი ეხება მომავალს ანუ იმას თუ რა მოხდება ბოლოს, როგორ ამოვა ოკეანეში ჩაძირული ქალაქები წყლის ზედაპირზე რომლებზეც ახალი მოდგმა დაიბადება რომელსაც ვერცხლისფერი გველი გადმოანთხევს (ბევრი თეორისტი უცხოპლანეტელების რასას თეთრკანიან ქვეწარმავლებს უწოდებს) და დაიწყება ახალი ცხოვრება ადამიანებს ექნებათ კონტაქტები სხვა არსებებთან რომლებიც დიდ ცოდნას გაუზიარებენ და დროთაგანმავლობაში წარსულსაც დაივიწყებენ...აღსანიშნავია, რომ

ბერმუდის სამკუთხედში 2000 მეტრის სიღრმეზე პირამიდები აღმოაჩინეს, სპეციალური აპარატით დაადგინეს, რომ მათი სტრუქტურა ჰგავს სქელ შუშას და თითოეული მათგანი ეგვიპტის ხეოპსის პირამიდაზე დიდია.

ამჟამად ამერიკელი, ფრანგი და სხვა ქვეყნის მეცნიერებიც უძღვებიან კვლევებს ბერმუდის სამკუთხედის ტერიტორიაზე და ცდილობენ გამოიკვლიონ აქამდე აღმოუჩენელი პირამინდა, რომლის ძირის სიგრძე 300 მეტრს ხოლო სიმაღლე 200 მეტრის ტოლია. ასევე ფიქრობენ, რომ პირამიდის სტრუქტურა შეუძლებელია იყოს სუფთა შუშის რადგან მისი ზედაპირი სრულიად გლუვია და გამჭვირვალე, რომელიც კრისტალს ჰგავს.

ამ უზარმაზარ პირამიდას თავზე აქვს ორი ხვრელი, როდესაც ერთ-ერთი დიდი სისწრაფით ისრუტავს წყალს ამის შემდეგ იფრქვევა ტალღები რაც ქმნის დიდ მორევს, ეს კი წყლის ზედაპირზე აჩენს ნისლს და უჩვეულო ტალღებს ეს ახალი აღმოჩენა მეცნიერებს აძლევს საშუალებას ივარაუდონ, რომ გემების და ადამიანების გაუჩინარება ბერმუდის სამკუთხედში დაკავშირებულია ამ პირამიდასთან. ეს აღმოჩენა გაკეთდა 2004 წელს. პირამიდის უფრო დედტალურმა გამოკვლევებმა, რომლებიც მეცნიერებმა ჩაატარეს აჩვენა, რომ ეს პირამიდა ხეოპსის პირამიდაზე სამჯერ დიდია და შეუძლებელია ის იყოს შუშის ან ყინულის მისი სრულყოფილი ზედაპირის გამო. ამის შესახებ მოეწყო სხდომა ფლორიდაში და ინფორმაცია გავრცელდა ჟურნალ გაზეთებშიც. ჟურნალისტებს ასევე აქვთ კომპიუტერულად დამუშავებული მონაცემები, რომლებიც აჩვენებს პირამიდის სამგანზომილებიან სურათებს.

ასე, რომ ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ მოვლენებს, რადგან ჩვენს ეპოქაში არავინ ჩანს ისეთი, ვინც დიდი წინასწარმეტყველების სახიფათო პროგნოზს აგვაცილებს და სამყაროს გადაარჩენს!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

შუმერული ანბანი უნდა აღმდგარიყო და აღდგა იმ ხაზობრივი ფორმულით, რომელიც შეინახეს საქართველოს კავკასიონის საცავებმა და ანკარის სიძველეთა მუზეუმში დაცულმა ხეთების უძველესმა ფერადმა თიხამ, რომელსაც ინგლისელი მეცნიერი მელარტი ძვ.წ. 6500–5600 წლებით ათარიღებს და 900 წლით ასწრებს ჩვენეულ დათარიღებას 5600 წელს, მაგრამ ეს ჩვენს მიგნებას უფრო აძლიერებს 5600 წელი კი ზუსტად ემთხვევა.

მსოფლიო მეცნიერთაგან ასაკობრივ და ხაზობრივ ასეთ დამთხვევას ვერავინ დაიქადნის!

აქ, კავკასიონის მთის საცავებში დარჩა სამყაროსეული ცივილიზაციის ის უდიდესი კულტურა, რაც მთელ აღმოსავლეთში რელიგიამ დამარხა. ეს უძველესი კულტურა საქართველოში ქრისტიანობამ გაანადგურა, მთელ მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში კი მაჰმადიანურმა მოსპო იგი...

თავდაპირველ უძველეს შუმერულ სიტყვებს საოცარი სიზუსტიY ხსნის საქართველოში შემონახული მეგრული, სვანური და თავად ქართული. ეს ენები და ხალხი მკვდარი და წაშლილი რომ ჰგონიათ მსოფლიოს მეცნიერებს, აქ, საქართველოში, შემონახულია და ცოცხალია.

გამოკვლევების მიხედვით სრულიად სხვა სახეს იღებს მსოფლიოს ხალხთა ანბანური გავრცელების ცხრილი.

ქართულ ასომთავრულ ანბანში რომ სამყაროსეული ცივილიზაციაა, მტკიცდება მისი მზისა და მთვარის კალენდრით, რომელიც დედამიწის ოთხ დროს წამების სიზუსტით ანგარისობს და ისეთი სიზუსტითაა განაწილებული, რომლის მსგავსი თანამედროვე კაცობრიობამ არ იცის.

და ბოლოს: შუმერების ანბანი – ქართული ასომთავრული, მზისა და მთვარის კალენდარით, სამყაროსეული ცივილიზაციის ფორმულით არის შედგენილი და დედამიწაზე ადამის მოდგმის განათლების სათავეა. ამ ანბანური განათლების საიდუმლოებათა ამოცნობა სრულიად სხვა გზაზე აყენებს კაცობრიობის ისტორიას და აზროვნებას.

შუმერების, იგივე ქართული ასომთავრული ანბანი აღმოსავლეთის ყველა უძველეს ცივილიზაციათა სათავეა, რომლის გაცნობა მსოფლიოს აღმოსავლეთმცოდნეებს საშუალებას აძლევს ახსნან ჯერ ამოუხსნელი ყველა საიდუმლოება, როთიც სავსეა კაცთა მოდგმის დღემდე ბოლომდე ამოუცნობი პირველი სიძველეები.

აღმოჩენები ითხოვენ თავიდან გადავხედოთ მთელ არქეოლოგიურ მასალას რაც კი კაცობრიობას დედამიწის სიღრმეებში უპოვია შუმერების შესახებ.

უკვე დამტკიცებულია, რომ შუმერული ცივილიზაცია ყველაზე ძველია დედამიწაზე. მათი პირველი ცივილიზაცია შეიქმნა დაახლოებით 445 000 წლის უკან. ბევრი მეცნიერი ცდილობდა და ცდილობს პლანეტის ყველაზე ძველი ცივილიზაციის საიდუმლოს დამსხვრევაზე, მაგრამ საიდუმლო საიდუმლოდ რჩება. საკმარისია ვახსენოთ, რომ მათ ჰქონდათ მათემატიკური გამოთვლების უდიდესი უნარი და იცოდნენ ფიბონაჩის რიცხვები.

შუმერული ხელნაწერები შეიცავს ინფორმაციას მზის სისტემის შექმნაზე, მის განვითარებასა და წყობაზე. ნახატებზე, რომლებიც ინახება გერმანიის სახელმწიფო მუზეუმის (ბერლინი) ახლო აღმოსავლეთის სექციაში, ასახულია მზის სისტემა – ცენტრში მზე და გარშემო კი ჩვენთვის ცნობილი ყველა პლანეტა (მზის სისტემის), თუმცა მათ მზის სისტემის ნახატში განსხვავებაა, შუმერებს მარსსა და იუპიტერს შორის მოთავსებული აქვთ დიდი ზომის უცნობი პლანეტა, მე-12 პლანეტა შუმერული სისტემით. ამ უცნაურ და ამოუცნობ პლანეტას შუმერები უწოდებენ „ნიბირუს“, რაც ნიშნავს „გადამკვეთ პლანეტას“. ამ პლანეტის ორბიტა, მეტად მოგრძო ელიფსი, ყოველ 3600 წელიწადში ერთხელ კვეთს მზის სისტემას. მორიგი „სტუმრობა“ 2100–2158 წლებშია მოსალოდნელი.

შუმერული ხელმაწერების მიხედვით, პლანეტა ნიბრუ დასახლებული ყოფილა გონიერი არსებებით სახელად „ანუნაკები“. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენდა 360 000 წელს. ისინი იყვნენ გიგანტები, ქალების სიმაღლე 3-იდან 3,7 მეტრამდე, ხოლო მამაკაცების 4–5 მეტრამდე. აქვე აღვნიშნოთ, რომ მაგალითად, ძველი ეგვიპტის მმართველი, ექნატონი, 4 მეტრი სიმაღლის იყო, ხოლო ლეგენდარული Nნეფერტიტი 3,5 მეტრამდე. უკვე ჩვენს დროში, ექნატონის ქალაქში აღმოჩენილი იქნა 2 უცნაური სამარხი. ერთ მათგანში პირდაპირ მუმიის თავზე იყო გამოსახული სიცოცხლის ყვავილი, ხოლო მეორეში აღმოაჩინეს დაახლოებით 7 წლის ბავშვის ძვლები, რომლის სიმაღლე 2,5 მეტრია. ბავშვის ძვლები გადატანილი იქნა კაიროს მუზეუმში.

(ვფიქრობ, უკვე აღვნიშნეთ, რომ ქიმეთიის (ეგვიპტის) პირველი ფარაონის, ნარმერის, ანუ მენესის ჩათვლით, კლეოპატრას დრომდე ყველა ფარაონი კოლხი (ქართველი) იყო. ექნატონი, მისი მამა (ამენჰოტეპი), მისი მეუღლე (თათუ), მათი შვილი (თუთანჰამონი), თათუს ბიძა აიე (ეიე), რამზეს I რამზეს II რამზეს III და მათი მემკვიდრეები თეთრკანიანები და კოლხები (ქართველები) იყვნენ.

მირიან ქართველი აღნიშნავდა: „ეგვიპტის იმპერია ქართველი შუმერების შექმნილია და ფარაონები კლეოპატრამდე, ყველანი ქართველები იყვნენ, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანეს...“ — ავტ)

შუმერების კოსმოგონიაში მთვარ მოვლენად ითვლება „კოსმოსური ომები“ და კატასტროფა, რომელიც მოხდა 4 მლრდ წლის წინათ და შეცვალა მზის სისტემის ფორმა. თანამედროვე ასტრონომია ადასტურებს ამ კატასტროფის მოხდენის ფაქტს!

შუმერულ ხელნაწერებში მოყვანილია ფაქტები რომელიც შესაძლოა გამოვიყენოთ როგორც დედამიწაზე გონიერი ცხოვრების წარმოშობის მიზეზი. ამ ხელნაწერების თანახმად, ჰომო-საპიენსი შეიქმნა გენური ინჟინერიის შედეგად დაახლოებით 300 000 წლის უკან. ამგვარად, კაცობრიობა შესაძლოა წარმოადგენდეს ბიორობოტების ცივილიზაციას. აღსანიშნია, რომ სტატიაში არის ზოგიერთი დროის შეუსაბამობა, რადგან თარიღების უმეტესობა დადგენილია მხოლოდ გარკვეული ხარისხის სიზუსტით.

შუმერული ხელნაწერების გაშიფვრამ მკვლევარების შოკი გამოიწვია. მაგალითად მოვიყვანოთ მოკლე და არასრული სია იმ ცივილიზაციის მიღწევებისა, რომელიც არსებობდა განვითარების გზაზე მყოფ ეგვიპტეზე, რომის იმპერია და მითუმეტეს, ძველ საბერძნეთზე უფრო ადრე. შუმერული ხელნაწერების გარკვეული გაშიფვრის შემდეგ აშკარა გახდა, რომ შუმერული ცივილიზაცია ფლობდა თანამედროვე მეცნიერულ ცოდნას ქიმიის, მცენარეული მედიცინის, კოსმოგონიის, ასტრონომიის, თანამედროვე მათემატიკა და გენური ინჟინერიის შესახებ. ასევე, ჰქონდათ თანამედროვე სახელმწიფო პარლამენტის, სასამართლოსა და არჩევნების იდენტური მექანიზმი.

შუმერები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ კონტაქტი ჰქონდათ პლანეტა ნიბირუს მცხოვრებლებთან. შუმერული ტექსტების მიხედვით, სწორედ ამ პლანეტიდან ჩამოვიდნენ ანუნაკები დედამიწაზე. თუ დავუჯერებთ ლეგენდებს, რომლებიც მრავლადაა სხვა და სხვა კულტურებსა და ცივილიზაციებში, მაშასადამე, ჰუმანოიდებს არა მხოლოდ კონტაქტი ჰქონიათ ადამიანურ რასასთან, არამედ ისე ახლოს იყვნენ მათთან, რომ შესაძლოა საერთო შთამომავლობაც ჰყავდეთ...

დავუბრუნდეთ შუმერულ ხელნაწერებს და შევეცადოთ ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე: რატომ სურდათ პლანეტა ნიბირუს მცხოვრებლებს დედამიწაზე ჩამოსვლა? შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აინტერესებდათ სასარგებლო მინერალები, უპირველესად ოქრო; რატომ? თუ ავიღებთ თეორიას ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ მე-12 პლანეტაზე (მზის სისტემის), შესაძლოა მათ სურდათ ოქროსშემცველი დამცავი ეკრანის შექმნა პლანეტისთვის. აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური ტექნოლოგიით ჩვენს დროში მიმდინარეობს კოსმოსური პროექტების გარკვეული ნაწილი.



პლანეტა ნიბურუ

პირველად, ანუნაკები უშედეგოდ ცდილობდნენ ოქროს მოპოვებას სპარსეთის ყურეში, ხოლო შემდეგ მიწისქვეშა სამუშაოები დაიწყეს სამხ-აღმ აფრიკაში. ყოველ 3 600 წელიწადში ერთხელ, როდესაც პლანეტა ნიბირუ იმყოფებოდა დედამიწის სიახლოვეში, მასზე იგზავნებოდა მთელი მოპოვებული ოქროს მარაგი. ხელნაწერების მიხედვით, ანუნაკები საკმაოდ დიდხანს მოიპოვებდნენ ოქროს დედამიწაზე, დაახლოებით 100–150 ათასი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოხდა აჯანყება. ანუნაკებს მობეზრდათ ათასობით წლები მიწისქვეშ გატარება ოქროს მოსაპოვებლად და მაშინ მიიღეს უნიკალური გადაწყვეტილება „პრიმიტიული მომუშავეების“ შექმნის შესახებ სამუდამოდ მიწისქვეშ სამუშაოდ... და კაცობრიობის შექმნის მთელი პროცესი დაწვრილებით არის აღწერილი შუმერული თიხის დაფებზე. ამ ინფორმაციამ, ფაქტობრივად, შოკში ჩააგდო თანამედროვე გენეტიკები!“

ებრაელი არქეოლოგის იულიუს (ჟიულ) ოპერტის ბიოგრაფია შესულია „იუდეურ ენციკლოპედიაში“ და ზოგადად, ცნობილია როგორც ტერმინ „შუმერული ენის“ ავტორი. 1851 წელს ოპერტი შეუერთდა ფრანგულ არქეოლოგიურ მისიას მესოპოტამიაში, მიდიაში. იგი მუშაობდა ექსპედიციის ანალიზზე, განსაკუთრებით მათ მიერვე შეგროვებული ლურსმნული დამწერლობის მიმართულებით. თავდაპირველად იგი თვლიდა, რომ ენა, რომელზეც პირველი ასირიელები საუბრობდნენ, წარმოშობილი უნდა ყოფილიყო თურანული, თურქულ და მონღოლური ენების მონათესავე ენიდან და არა სემიტურიდან, მაგრამ წარწერების კლასიფიკაციის შემდეგ სრულიად უარჰყო საკუთარივე მოსაზრება იმის საფუძველზე, რომ ლურსმნული დამწერლობა აბსლუტურად განსხვავებული იყო ყველა სხვა დანარჩენისგან.

მის მიერ დაწერილი წიგნის პირველ ნაწილში „შუმერული ცივილიზაცია“ ვკითხულობთ: – „ნუთუ ლუსმნული დამწერლობა სემიტებს არ შეუქმნიათ? თუ სემიტებმა არა, მაშ, ვინ შექმნა? რა ერქვა იმ ხალხს რომლებიც იმ დროს იქ ცხოვრობდნენ და რატომ არ იხსენიებს მათ „წიგნთა წიგნი?“ ოპერტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხალხი, რომლებმაც შექმნეს ლურსმნული დამწერლობა უნდა მოიხსენიონ შუმერებად. ამის საფუძველი გახდა ასირიელი მეფეების „ტიტული“ – ისინი ყოველთვის მოიხსენიებიან „არკადასა და შუმერთა“ მეფედ. იგი განმარტავდა ასე: – „რამდენადაც „არკადი“ (შეადარეთ მეფე ართურთან „არკადის“ და „არკადიას“) დაკავშირებულია მესოპოტამიის სემიტურ მოსახლეობასთან (რაც ცხადია ამდროინდელი უამრავი წარწერით), „შუმერი“ უეჭველად უნდა იყოს არასემიტი მოსახლეობის დასახლების ადგილი, რომელმაც შექმნა და რომელსაც ეკუთვნოდა ეს დამწერლობა. მოგვიანებით, ლექსიკონებში გაჩნდა ამ ტერმინის შესატყვისი – „წინაწარმეტყველების ენა“.

ქვედა მესოპოტამიის ქალაქ ერედუში, რომელიც ითვლება ლურსმნული დამწერლობის მესაძირკვლედ, მდებარეობს ღვთაება ენქის ტაძარი „ინგური“, რომელიც პროტოშუმერული პერიოდისაა. ძვ. წ XXII–XXI საუკუნების მიჯნაზე მეგრელ-ლაზების ერთი ნაწილი გადასახლდა ქვემო მესოპოტამიიდან ზემო მესოპოტამიაში და ღვთაება ენქის კულტი და ტაძარი „ინგური“ („ინგირი“) თან გადაიტანეს, ქვეყანას ეა, აია ერქვა და მთავარ ქალაქსაც იგივე სახელი ეწოდებოდა. მაშასადამე, ღვთაება ენქის ტაძარი პალესტინაში, ისტორიაში პირველი ტაძარი ქართული (მეგრულ-ლაზური) ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ოპერტი საფრანგეთის სახელმწიფოს დავალებით არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა სამხრეთ საქართველოშიც, ის ოპერტი, რომელმაც ლურსმნულ დამწერლობას „შუმერული“ უწოდა, ქვეყნის სახელწოდება „ინგური“ შეცვალა „შუმერით“, ხოლო ქვეყნის მცხოვრებთა სახელწოდება „ენგურელი“ „შუმერულით.“ მეცნიერებს დადგენილი არ ჰქონდათ ვინ ცხოვრობდა შუამდინარეთში „შუმერების“ მისვლამდე, ამიტომ მათ „პროტო-ევფრატელები“ უწოდეს, მაგრამ ფაქტად დევს, რომ ტოპონიმიკა არ არის შუმერული. მაგალითად, ტიგროსის ძველი სახელწოდებაა „ოდიგნა“, ევფრატის – „ბურანუნი“. შუმერული სახელწოდება არ არის „ერედუ“ და ა.შ

„სანამ ე.წ შუმერები ანუ „შავთავიანები“ მოვიდოდნენ შუამდინარეთის სამხრეთში, მანამდე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ნამდვილი „შუმერები“, იგივე ლაზ-მეგრელები, რომლებსაც ჰქონდა თავიანთი კულტურა, ჰყავდათ თავიანთი ღმერთები თავიანთი ტაძრებით. შუამდინარეთის სამხრეთი დაიმორჩილა დამპყრობმა ხალხმა, რომლებიც იყვნენ ე.წ შუმერები („შავთავიანები“)“ და შეცდომით იწოდებიან შუმერებად“, – წერს მკვლევარი ბადა (ნეგუსი) სოფია.

(გაგრძელება იქნება)

შუმერთა მზის სისტემის რუკა

ერეკლე საღლიანი – 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ერეკლე საღლიანი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ერეკლე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან პოეტსა და ერისკაცს, ქართული ცისა და მიწის მეციხოვნეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1967 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „პიონერში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ენგური“ და მას შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, მართლაც ენგურივით მიარღვევთ წუთისოფლის იწროებს და თანამოძმეთ ვაჟკაცობის, შეუდრეკლობის, თანალმობის საუცხოო მაგალითებს აძლევთ.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „უსათაურო“, „რაშოუდა“, „შამარირა“... შეიყვარა იმიტომ, რომ თქვენი ლირიკული გმირი იბრძვის ქართული სიწმინდეების გადასარჩენად. თქვენ იმ კუთხის შვილი ხართ, სადაც ჭუნირის ხმებით აფრთხობენ სიკვდილს, სადაც კარგად მოეხსენებათ, რომ ქართული ლექსი ნათლისვეტად შედგომია დღევანდელ საქართველოს.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია რუსულ და აფხაზურ ენებზე.

თავადაც ჩინებულად თარგმნეთ ფედერიკო გარსია ლორკას, სერგეი ესენინის, ივან კრინინის, იუზა კოღონიას, უილიამ ფროსტის ლექსები.

საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილები მიუძღვენით ოთარ ჭილაძის, შერმადინ ქალდანის, ლაშა გახარიას, თემურ ჩალაბაშვილის, მერაბ აბაშიძის, ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებას.

სხვადასხვა დროს მუშაობდით მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად, ქართული ენისა და ლიტერატურის მადლსა და მირონს აზიარებდით თბილისის ბიზნესის სკოლის, რაინდთა სკოლის, პოლიტიკური აკადემიის მოსწავლეებს, ხართ ტელევიზია „ობიექტივის“ წამყვანი. დამფუძნებელი და რედაქტორი ბრძანდებოდით ისეთი ჟურნალებისა, როგორიცაა „ხატაურა“ და „ზედაშე“.

მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის პრემია, ამერიკის მართლმადიდებელთა კავშირის კონკურსის გრან-პრი, პატრიარქის სახელობის პრემია „სიცოცხლის ხე“...

ჩვენო ერეკლე!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ ჩვენი სათაყვანო მამულის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– უკვე რამდენიმე წელია, დაკარგულია ჩემი ახლობელი. მის ცოლ-შვილს აქვს მემკვიდრეობის მიღების პრობლემა. როგორ მოვიქცეთ?

– უნდა მიმართოთ სასამართლოს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე. დაგიკონკრეტებთ:

მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

* * *

– ვაპირებდი ბინის ყიდვას. მოველაპარაკე მესაკუთრეს. დავუტოვე ბე. შემდეგ სხვა ბინა ვნახე და მისი ბინის ყიდვა გადავიფიქრე. მან ბე არ დამიბრუნა, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა. მითხრა, შენ დამაზარალე, მე მაგ თანხით ვაპირებდი იაფად ბინის ყიდვას, ახლა ის ბინა გაიყიდაო ასევე, მითხრა, მე რომ დამერღვია ეს პირობა, ბე ორმაგი რაოდენობით უნდა დამებრუნებინაო. რამდენად სამართლიანია მისი საქციელი?

– სამოქალაქო კანონი ამ შემთხვევაში მის მხარეზეა.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება,– ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

– წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?

– არა, არ წარმოშობს. დაგიკონკრეტებთ:

მუხლი 1151. ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

– შეიძლება თუ არა სასამართლო ხარჯების გადავადება ან შემცირება კანონის მიხედვით?

– შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარე გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ან შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

* * *

– გარდაიცვალა პაპაჩემი. მისი ქონება გადაიფორმა მთლიანად ბიძაჩემმა, რადგან მამაჩემი გარდაცვლილი იყო. ფაქტიურად, ჩვენ – მე და დედა, დავრჩით უბინაოდ. რის გაკეთება შეგვიძლია?

– მიუხედავად იმისა, რომ მამათქვენი გარდაცვლილია, თქვენ, მისი შვილი სარგებლობთ წარმომადგენლობის უფლებით და ის ქონება, რაც უნდა მიეღო მამათქვენს, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თქვენ უნდა მიგეღოთ. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია, რა სახის მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე – კანონისმიერ თუ ანდერძისმიერთან. თუ კანონისმიერი მემკვიდრეობაა, თქვენ უნდა მიგეღოთ, ჩვეულებრივ სამკვიდროს ნახევარი, თუ ანდერძისმიერია, ანუ თუ პაპათქვენმა ანდერძი დატოვა მისი სამკვიდროს ბიძათქვენისთვის დატოვების შესახებ, ამ შემთხვევაში სარგებლობთ სავალდებულო წილის უფლებით და უნდა მიგეღოთ დატოვებული ქონების ნახევრის ნახევარი.

როგორც წერილიდან ჩანს, სამკვიდროს მიღების 6 თვიან ვადაში ბიძათქვენმა მოახერხა სამკვიდროს მიღება სანოტარო წესით. დაგრჩათ სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლება. სავარაუდოდ, პროცესს მოიგებთ.

* * *

– რა წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას?

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^3-ე მუხლის მიხედვით, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

შპს „ხრამის კასკადის“ განცხადება

შპს „ხრამის კასკადი“ ქვემო ქართლის რეგიონში გეგმავს 3-საფეხურიანი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის („ხრამჰეს-3“, „ხრამჰეს-4“ და „ხრამჰეს-5“) მშენებლობას და ექსპლუატაციას. ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გ.ზ.შ.) ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება 2017 წლის 9 და 10 ნოემბერს ბოლნისის, დმანისი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საჯარო განხილვები ჩატარდება:

2017 წლის 10 ნოემბერს 15 საათზე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში:
(მისამართი: ქ.თეთრიწყარო,
თამარ მეფის ქუჩა N34)

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ თქვენს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც შპს „ხრამის კასკადმა“ გადმოგზავნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2017 წლის 28 სექტემბერს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში დამუშავებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ და მისი ოფისის მისამართია ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა; ტელ: 260 15 27.

საკონტაქტო პირი: **ჯულული ახვლედიანი**

გთხოვთ, შენიშვნები და კომენტარები წერილობით მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

კახა კობაიძე,
შპს „ხრამის კასკადის“ დირექტორი,
e-mail: avanhpp@gmail.com,
მობ: 595 72 70 70.

ჯულული ახვლედიანი,
e-mail: j.akhvlediani@gamma.ge ,
მობ: 595 59 52 55, 260 15 27.

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ხრამის კასკადი“

განცხადება

„საერთო გაზეთის“ პროექტი - „ძლიერი რეგიონები - ძლიერი საქართველოსთვის“, რომელიც შეჩერებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, განახლდება მომდევნო ნომრიდან.

არჩევნები, არჩევნები, არჩევნები...

მსოფლიოში, არჩევნებთან დაკავშირებით, განსხვავებული კანონები არსებობს, თავად ადამიანების დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარია. გთავაზობთ არჩევნებთან დაკავშირებულ საინტერესო, სახალისო და უცნაური ამბების ნაკრებს.

SIMSITY-ს გამარჯვებული – ქალაქის მერად

2002 წლის ვარშავის მერის არჩევნების დროს კანდიდატებს შესთავაზეს ერთმანეთს შერკინებოდნენ ქალაქის მართვაში და SimSity-3000 ეთამაშათ. ამისთვის მოდელირებული იყო ვარშავის რუკა, თითოეულ მონაწილეს კი სათამაშო ვალუტის თანაბარი რაოდენობა მისცეს. მართალია, ზოგიერთმა კანდიდატმა კომპიუტერული ქალაქის განვითარება თავისი გუნდის წევრებს მიანდო და თვითონ მაყურებლებთან ურთიერთობას აგრძელებდა, მაგრამ სწორედ ამგვარი სიტუაცია ასახავს ზუსტად მერის სამუშაოს არსს.

საუკეთესო შედეგებს მიაღწია ლეხ კაჩინსკიმ, რომელიც მოგვიანებით პოლონეთის პრეზიდენტადაც იქნა არჩეული.

მეტი ზურგის ქარი ველომბრბოლელებს!

დანიელი კომედიური მსახიობი იაკობ ჰაუგარდი მონაწილეობას იღებდა თავის ქვეყანაში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში. მას სახალისო საარჩევნო პროგრამა ჰქონდა. იგი თავის ამომრჩეველს დღის ახლებურ განრიგს სთავაზობდა: 8–8–8, რაც გულისხმობდა, რომ ქვეყნის მაცხოვრებლებს 8 საათი თავისუფალი დრო ექნებოდათ, 8 საათს დაისვენებდნენ და ძილისთვისაც 8 საათი ექნებოდათ გამოყოფილი.

მისი სხვა დაპირებები ასე გამოიყურებოდა: იქნებოდა მეტი ზურგის ქარი ველობილიკებზე, უკეთესი ამინდის პროგნოზი, შემცირდებოდა რიგები სუპერმარკეტებში და ჯარისკაცების რაციონში დაემატებოდა ნუთელა.

1994 წელს იაკობ ჰაუგარდმა, როგორც იქნა, ხმათა საჭირო რაოდენობა დააგროვა და დანიის პარლამენტის წევრი გახდა. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წევრი იგი ოთხი წლის განმავლობაში იყო.

რა კავშირშია პოკერი და ქალაქის მერობა

ნიუ-მექსიკოს შტატში არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც, თუ ქალაქის მერობის ორი კანდიდატი ხმათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს, ისინი ერთმანეთს რაიმე თამაშში უნდა შეეჯიბრონ. კანონი რეალურად 1988 წელს ქალაქ ესტანსიაში განხორციელდა. ჯეიმს ფარინგტონმა და ჯონ კარლსონმა ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. კენჭისყრის შემდეგ მათ პოკერი ითამაშეს, რომელშიც გამარჯვება ჯეიმს ფარინგტონმა მოიპოვა და ქალაქიც მერიც გახდა.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ახალი ზელანდია და არჩევნები

ახალ ზელანდიაში ქალებმა არჩევნებში ხმის მიცემის უფლება 1893 წელს მოიპოვეს. ეს პირველი ქვეყანაა, სადაც ქალებმა ეს უფლება მიიღეს.

არჩევნებში ხმის მიცემა აუცილებელია!

მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში არჩევნებში ხმის მიცემის აუცილებლობა კანონით არის გათვალისწინებული. თუმცა, ზოგ ქვეყანაში ამ კანონის დამრღვევი არ ისჯება. ზოგ ქვეყანაში კი, მაგალითად, ავსტრალიაში, თუ მოქალაქე არჩევნებზე არ გამოცხადდა, მან ჯარიმა უნდა გადაიხადოს. პერუსა და საბერძნეთში ასეთ შეუგნებელ მოქალაქეებს სხვადასხვა უწყებებში არ გაუწევენ სახელმწიფო მომსახურებას, ხოლო თუ 18 წლის ბრაზილიელი არჩევნებში ხმას არ მისცემს, პასპორტის მიღება მანამდე შეუჩერდება, სანამ მომავალ არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას.

შვეიცარიელი ქალები და არჩევნები

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში ჯერ კიდევ ხდებოდა ისეთი ფაქტები, რომლებიც დღეს აბსოლუტურად არაცივილიზებულად ითვლება.

მაგალითად, შვეიცარიელმა ქალებმა ხმის მიცემის უფლება 1971 წელს მიიღეს (აპენცელ-ინეროდენის ადგილობრივ არჩევნებში კი – 1991 წელს), ხოლო საფრანგეთში გილიოტინაზე ბოლო სასჯელი 1977 წელს აღსრულდა.

მალაიზიის მონარქის ტიტული არჩევითია

მალაიზია კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაა. თუმცა, მონარქის ტიტული მემკვიდრეობითი კი არა, არჩევითია. საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყანა შტატებად არის დაყოფილი, რომელთაგან ცხრა შტატში მონარქიაა (შვიდ მათგანს სულთანი მართავს, ერთს რაჯა, ხოლო ერთის მმართველის ტიტულია იანგი). ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ეს მმართველები ირჩევენ მთავარ მონარქს ან ასაკობრივი ნიშნით, ან მმართველობის ხანგრლივობის მიხედვით. თუმცა, ყოველი მათგანი, საბოლოო ჯამში, მხოლოდ წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს.

არ გინდა ფილადელფიის მერი იყო? – გადაიხადე ჯარიმა!

1701 წელს ფილადელფიამ ქალაქის წესდება მიიღო, რომლის თანახმადაც, მერი ქალაქის საბჭოს შემადგენლობიდან უნდა აერჩიათ და რადგან ქალაქის თავს ხელფასი არ ენიშნებოდა, მერად არჩეულ ადამიანებს ერჩივნათ, მერობაზე უარი ეთქვათ და დიდი ფულადი ჯარიმაც გადაეხადათ.

ქალაქის მერს ხელფასი მხოლოდ 1747 წლიდან დაენიშნა.

მიიღე საყოველთაო ხმათა რაოდენობის 22% და გახდი პრეზიდენტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტი აირჩევა არა საყოველთაო არჩევნებით, არამედ ე.წ. ამომრჩევთა კოლეგიის მიერ, რომელიც კონგრესში ამ შტატის წარმომადგენლების რიცხვის ტოლია და მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, მივიდეს საარჩევნო უბანზე და ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს, ამის შემდეგ თითოეული შტატი ირჩევს თავის კანდიდატს და ამ შტატის ამომრჩევები ხმას აძლევენ პრინციპით „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“. ამ სისტემის გამო ქვეყნის ისტორიაში სამჯერ პრეზიდენტი გახდა არა ის კანდიდატი, ვინც საყოველთაო ხმების მეტი რაოდენობა მიიღო. ბოლო ასეთი შემთხვევა მოხდა 2016 წელს, როცა დონალდ ტრამპი აირჩიეს პრეზიდენტად. გამოდის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება გახდე, თუ ხმების საერთო რაოდენობის 22%-ს მიიღებ.

ხმა მომეცი და გეტყვი!

ბრაზილიელმა კომიკოსმა ტირირიკამ წინასაარჩევნოდ განაცხადა: „რა უნდა გააკეთოს ფედარალურმა კონგრესმენმა, არ ვიცი, მაგრამ თუ ხმას მომცემთ, შეიძლება გითხრათ კიდეც. ამით არაფერი გაფუჭდება“.

ხმის მიცემის შედეგების მიხედვით იგი მეორე ადამიანი გახდა ბრაზილიის ისტორიაში, ვინც 2010 წელს 1 248 295 ხმა მიიღო.

გინესის რეკორდების წიგნში არჩევნების გაყალბებისთვის

ჩარლზ კინგმა 1927 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში 234 000 ხმა მიიღო და ლიბერიის პრეზიდენტი გახდა. ერთადერთი პრობლემა ის გახლდათ, რომ დარეგისტრირებული იყო მხოლოდ 15000 ადამიანი.

ჩარლზ კინგი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ისტორიაში ყველაზე ფალსიფიცირებული არჩევნების გამარჯვებული.

იუტას ქალები მრავალცოლიანობის წინააღმდეგ

იუტას შტატის ქალებმა ხმის მიცემის უფლება ყველა დანარჩენი შტატების ქალებზე 50 წლით ადრე, 1870 წელს მიიღეს, მაგრამ, რადგან მათ ხმა მისცეს მრავალცოლიანობის გაუქმებას, მათ ეს უფლება 1887 წელს ჩამოერთვათ.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com